



საარჩევნო სისტემები

საარჩევნო სისტემა ფართო გაგებით სახელმწიფოს არჩევითი (წარმომადგენლობითი) ორგანოს ფორმირების წესია, რომლის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტთა ერთობლიობა წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობას. ვიწრო გაგებით კი საარჩევნო სისტემა კენჭისყრის შედეგების საფუძველზე არჩევით ორგანოში ადგილების განაწილების წესია (სისტემა), **საარჩევნო ფორმულაა**. სწორედ ის პრინციპები და მეთოდები, რომელთა საფუძველზე ხდება მიღებული ხმების მანდატების რაოდენობაში გადაყვანა (ტრანსფორმირება), წარმოადგენს საარჩევნო სისტემას.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამა თუ იმ სისტემის გამოყენება სუფთა ტექნიკური (პროცედურული) საკითხია და მას არანაირი გავლენა არ აქვს არჩევნების შედეგებზე. მაგრამ არჩევნების ჩატარების მდიდარი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეალურად საქმე სულ სხვანაირადაა: საარჩევნო პროცესის ამ ელემენტს ყველაზე გამოკვეთილი პოლიტიკური ელფერი აქვს – რამდენადაც კანდიდატებსა და პარტიებს შორის ხმათა ერთი და იმავე განაწილებისას სხვადასხვა სისტემის გამოყენებას სრულიად განსხვავებულ შედეგებამდე მიყვავართ, საარჩევნო სისტემას შეუძლია გავლენა მოახდინოს არჩევითი ორგანოს არამარტო დაკომპლექტებაზე, არამედ მისი შემდგომი საქმიანობის პოლიტიკურ მიმართულებასა და ეფექტიანობაზე; მთავრობის და მთელი აღმასრულებელი მექანიზმის სტაბილურობაზე.

ამდენად, საარჩევნო სისტემა პოლიტიკურ პროცესში სულაც არ არის ნეიტრალური ფაქტორი¹. ზოგიერთი სისტემა ძლიერ პოლიტიკურ პარტიებს აძლევს გადამწყვეტ უპირატესობას და ხელს უწყობს ერთპარტიული ან ორპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას, სხვა – საშუალო პარტიებს აძლევს წარმომადგენლების გაყვანის საშუალებას, რითაც მრავალპარტიულ სისტემას ამკვიდრებს; ზოგი მოდელი პარტიის ცენტრალიზებასა და განმტკიცებას უწყობს ხელს, ზოგი პირიქით – შიდაპარტიული ბრძოლის სტიმულირებას ახდენს. არსებობს საარჩევნო სისტემის ისეთი მოდელები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება „პარტიული სახელმწიფოსა“ და საზოგადოების პირობებში, სხვა მოდელები ფორმალურად ინარჩუნებენ „უპარტიო“ ხასიათს.

¹ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სხვა ცნობილ გარემოებათა გარდა, 1933 წელს ნაციონალ-სოციალისტების ხელისუფლებაში გერმანიაში მოსვლა განაპირობა „ვაიმარის რესპუბლიკაში“ (პირველი მსოფლიო ომისშემდგომი გერმანია) პროპორციული საარჩევნო სისტემის დამკვიდრებამ.




საარჩევნო სისტემის არჩევა კანონმდებლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი ამოცანაა. მაგრამ როგორია „სწორი არჩევანი“, რა ძირითად მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს არჩეული სისტემა?

ზოგადად, საარჩევნო სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე ჯგუფთა წარმომადგენლობის სამართლიანი არჩევა. სამართლიანად კი მიჩნეულია ისეთი შედეგი, რომლითაც გამარჯვებულად ცხადდება ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს (მაჟორიტარული პრინციპი), ან რომლითაც პარტიის მიერ მოპოვებულ მანდატთა რაოდენობა მის მიღებულ ხმათა რაოდენობის პროპორციულია (პროპორციული პრინციპი)². ამის შესაბამისად, საარჩევნო სისტემებიც პირობითად ორ ძირითად ჯგუფად – **მაჟორიტარულ და პროპორციულ სისტემებად** – იყოფა. გარდა ამისა ფართოდ გამოიყენება **შერეული საარჩევნო სისტემაც**, რომელიც აერთიანებს მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების ნიშნებს სხვადასხვა ვარიაციებით. თითოეულ ამ სისტემას (და მათ მრავალრიცხოვან სახესხვაობებსაც)³ თავიანთი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. საარჩევნო სისტემების საკვანძო განმასხვავებელი ნიშნებია: საარჩევნო ოლქების მასშტაბი, ბიულეტენის სტრუქტურა, საარჩევნო ზღურბლი (ბარიერი), პარტიული სიების ტიპი, ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობა და ა.შ. საარჩევნო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი **საარჩევნო ფორმულაა**, რომელიც განსაზღვრავს მიღებული ხმების მიხედვით მოპოვებული მანდატების რაოდენობას.

² მხედველობაში აუცილებლად მისაღებია ის ფაქტი, რომ იდეალურად ობიექტური საარჩევნო სისტემა არ არსებობს და ნებისმიერი სისტემა მეტ-ნაკლებად უგულვებელყოფს ამომრჩეველთა ნებას, თუმცა ამ უგულვებელყოფის ხარისხი სხვადასხვა მოდელისათვის განსხვავებულია.

³ მაგ., მხოლოდ პროპორციული სისტემის 150-ზე მეტი მოდიფიკაციაა ცნობილი.



ნახ 1. ძირითადი საარჩევნო სისტემები

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საარჩევნო სისტემების ზოგადი დახასიათება. უფრო დაწვრილებითაა განხილული ზოგიერთი ტიპური საარჩევნო ფორმულის გამოყენება.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა

მაჟორიტარული ყველაზე ძველი საარჩევნო სისტემაა. მისი სახელი ფრანგული სიტყვა *majorité*–სგან წარმოსდგება, რაც უმრავლესობას ნიშნავს.

მაჟორიტარული სისტემის გამოყენებისას დეპუტატის მანდატებს მიიღებენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებმაც კანონით დადგენილი ხმების უმრავლესობა (აბსოლუტური ან ფარდობითი) მიიღეს.

მაჟორიტარული სისტემა უმეტესად ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება. თუმცა, შესაძლებელია მისი მრავალმანდატიან ოლქშიც გამოყენება,



როცა ხმას აძლევენ ერთიან პარტიულ სიებს. ერთმანდატიან ოლქში, ჩვეულებრივ, კენჭს იყრიან კონკრეტული პირები (არჩევანი პერსონიფიცირებულია), მრავალმანდატიანში კი ხმას აძლევენ როგორც გარკვეულ პიროვნებებს, ისე პარტიულ სიებსაც. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა მსოფლიოს 90–ზე მეტ ქვეყანაში გამოიყენება, მათ შორის აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და კანადაში⁴.

იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრება კანდიდატის ასარჩევად საჭირო ხმების უმრავლესობა, განასხვავებენ: **ფარდობითი უმრავლესობის** მაჟორიტარულ სისტემას, **აბსოლუტური უმრავლესობის** მაჟორიტარულ სისტემას და **კვალიფიციური უმრავლესობის** მაჟორიტარულ სისტემებს.

ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა

ფარდობითი (ან უბრალო) უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა („პირველს ირჩევენ თანამდებობაზე“) მაჟორიტარული სისტემის ყველაზე მარტივი ნაირსახეობაა. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც მიიღო ყველაზე მეტი ხმა (ხმათა უბრალო უმრავლესობა), თუნდაც მას მხარს უჭერდეს ამომრჩევლების ნახევარზე ნაკლები. ეს სისტემა საკმაოდ ეფექტიანია (დამატებით გამოთვლებს არ საჭიროებს). თანაბარი რაოდენობის ხმების დაგროვების შემთხვევაში (რაც ერთობ იშვიათი მოვლენაა) კანონმდებლობა ტრადიციულ კენჭისყრას იყენებს. ამ სისტემით არჩევნები ერთ ტურად ტარდება. როგორც წესი, არ ადგენენ არჩევნების ჩატარებულად ცნობისათვის ამომრჩეველთა აუცილებელ მინიმუმს (საარჩევნო **ზღურბლს**).

ამ სისტემის გამოყენება არ იძლევა ოლქის ყველა ამომრჩევლის ინტერესის გათვალისწინების საშუალებას: კანდიდატი შეიძლება არჩეულ იქნეს ამომრჩეველთა აბსოლუტური უმცირესობის მიერ, თუ არჩევნების მომენტში ისინი შეადგენდნენ ფარდობით უმრავლესობას. ასეთ შემთხვევაში არჩეული კანდიდატის საწინააღმდეგოდ ხმის მიმცემთა ხმები „დაკარგულად“ ითვლება. ეს სისტემა ფაქტიურად უგულვებელყოფს საშუალო და მცირე პარტიების ინტერესებს.

ვთქვათ, ერთ ოლქში კენჭს იყრის 4 კანდიდატი და მათ მიერ მიღებული ხმები შემდეგნაირად განაწილდა: ა-11%, ბ-23%, გ- 34% და დ-32%. გამარჯვებულია გ კანდიდატი, რომელმაც 34% მიიღო ხმებისა, თუმცა მის წინააღმდეგ ხმა მისცა

⁴ მრავალმანდატიანი ოლქებია იაპონიაში, აშშ-ში, რუსეთში და სხვ.



ამომრჩეველთა 66%-მა. ასე, რომ ამომრჩეველთა თითქმის ორი მესამედის ხმები „დაკარგული“ აღმოჩნდა. დეპუტატი კი არჩევით ორგანოში ოლქის ამომრჩეველთა მხოლოდ 1/3-ს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყნის საარჩევნო კანონი ადგენს ამომრჩეველთა ხმების მინიმალურ ოდენობას, რომელიც აუცილებელია გამარჯვების მოსაპოვებლად: კანდიდატი არჩეულად ითვლება, თუ მან თავის ოლქში კონკურენტებზე მეტი ხმა მიიღო, ამასთან ეს რაოდენობა უნდა იყოს ნამდვილი (მოქმედი) ხმების, დავუშვათ, 20%-ზე მეტი.

დიდ ბრიტანეთში ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემის გამოყენებამ რამდენჯერმე პარადოქსული სიტუაცია შექმნა: მანდატების აბსოლუტური უმრავლესობა ქვედა (თემა) პალატაში და, შესაბამისად, ერთპარტიული მთავრობის ფორმირების უფლება მიიღო პარტიამ, რომელსაც ჯამში (ქვეყნის მასშტაბით) უფრო ნაკლები ხმა ჰქონდა მიღებული, ვიდრე არჩევნებში დამარცხებულ პარტიას (მაგ. 1983 წელს)⁵.

მოვიყვანოთ მაგალითი:

<i>ამომრჩეველთა ხმები (ათასი) ოლქების მიხედვით</i>					
<i>კანდიდატები</i>	<i>I</i>	<i>II</i>	<i>III</i>	<i>IV</i>	<i>V</i>
<i>ა</i>	<i>17</i>	<i>18</i>	<i>16</i>	<i>17</i>	<i>5</i>
<i>ბ</i>	<i>13</i>	<i>12</i>	<i>14</i>	<i>13</i>	<i>25</i>

პარტიამ, რომელმაც მიიღო ხმათა თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც მეტი რაოდენობა ხმებისა ოლქების უმრავლესობაში, მიიღებს მეტ მანდატს. ჩვენს შემთხვევაში ა პარტიამ მიიღო 4 მანდატი, ბ – მ კი 1. თუმცა პირველს ხმა მისცა 73 ათასმა ამომრჩეველმა, მეორეს კი 77 ათასმა. ე.ი მმართველი იქნება პარტია, რომელსაც ამომრჩეველთა ნაკლები მხარდაჭერა აქვს. (2003 წელს საფრანგეთში გამარჯვებულმა პარტიას, რომელმაც ხმების 50%-ზე ნაკლები მოაგროვა, ადგილების თითქმის 75% მიიღო პარლამენტში).

⁵ ანალოგიური იყო ინდოეთშიც: ინდოეთი ეროვნული კონგრესის პარტია, ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარების თითქმის მთელი პერიოდის განმავლობაში (გარდა არჩევნებში დამარცხების შემთხვევებისა 1977 და 1989 წლებში), ამომრჩეველთა მთელი კორპუსის ხმების დაახლოებით ერთი მეოთხედით იღებდა მანდატების აბსოლუტურ უმრავლესობას.



ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებდემოკრატიულ საარჩევნო სისტემად, რომლის ძირითად სუსტ მხარეებად თვლიან:

1. ამომრჩეველთა ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობა „იკარგება“ (არ გაითვალისწინება მანდატების განაწილებისას);
2. არ იძლევა ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის რეალურ სურათს: პარტიამ, რომელმაც ხმათა ნაკლები რაოდენობა მიიღო, შეიძლება მოიპოვოს მანდატების აბსოლუტური უმრავლესობა.

ამ სისტემაში ჩადებული პოტენციური უსამართლობა უფრო ნათლად გამოიკვეთება საარჩევნო ოლქების „ამომრჩეველთა გეოგრაფიის (გეომეტრიის)“ პრინციპით ფორმირებისას. ამ პრინციპის არსი ისაა, რომ ოლქები, ფორმალური თანასწორობის მიუხედავად, ისე შეიძლება „დაიჭრას და შეკოწიწდეს“, რომ მათ უმეტესობაში უზრუნველყოფილი იყოს რომელიმე პარტიის უპირატესობა, მაშინ როცა მოწინააღმდეგე პარტიის მომხრეთა უმრავლესობა თავმოყრილი იქნება ორ-სამ საარჩევნო ოლქში. ამის განხორციელება უფრო ადვილია სოფლად, რაც შეიძლება მეტი საარჩევნო ოლქის ფორმირებით: მოსახლეობის ერთნაირი რიცხოვნობის შემთხვევაში სოფლად 2-3-ჯერ მეტი საარჩევნო ოლქის შექმნა შესაძლებელი, ვიდრე ქალაქში.

ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის ფაქტობრივად ერთადერთ უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ არჩევნები ერთ ტურად ტარდება. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს დანახარჯებს.

აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა

ეს სისტემა კანდიდატის ასარჩევად მოითხოვს ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას (ამომრჩეველთა ხმების 50% + 1). ამასთან, როგორც წესი, საჭიროა მომრჩეველთა იმ მინიმალური რაოდენობის (ქვედა ზღურბლის) დაწესება, რომელიც აუცილებელია კანდიდატის ასარჩევად. ამომრჩეველთა რაოდენობაც შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს გაგებული: ა) რეგისტრირებული ამომრჩევლების საერთო რაოდენობა, ბ) არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების საერთო რაოდენობა (ვინც ბიულეტენები მიიღო) და გ) კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა. თუ ვერც ერთი პრეტენდენტი ვერ მიიღებს ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას, იმართება მეორე ტური (ჩვეულებრივ ორი კვირის შემდეგ), რომელშიც მონაწილეობს მხოლოდ ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. მეორე ტურში იგივე მოთხოვნაა აბსოლუტურ უმრავლესობაზე (თუმცა კანონმდებლობით შეიძლება



ხმათა ფარდობითი უმრავლესობაც საკმარისი იყოს). ამ სისტემის გამოყენებისას ჩვეულებრივ რამდენიმე ტური იმართება⁶.

აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის უპირატესობა მისი პოტენციური დემოკრატიზმია: ის ითვალისწინებს ამომრჩეველთა უმრავლესობის ინტერესებს, თუმცა არჩეული პრეტენდენტის წინააღმდეგ მიცემული ხმები ამ შემთხვევაშიც იკარგება. მეორე ნაკლს დაბალეფექტიანობა წარმოადგენს. ეს სისტემა, როგორც წესი, არჩევნების მეორე ტურს ან ხელახალ კენჭისყრას გულისხმობს. ხშირად მეორე ტურში კანონმდებლობა არანაირ ბარიერს არ ითვალისწინებს, რამდენადაც ამომრჩეველთა აქტიურობა ისედაც დაბალია. არსებობს გზა, რომლითაც შესაძლებელია აბსოლუტური უმრავლესობის სისტემის ნაკლებეფექტურობის პირველივე ტურში გადალახვა – ეგრეთწოდებული **ალტერნატიული ხმის მიცემის წესი**. ამ წესით, კენჭისყრისას ამომრჩეველი ხმას ერთ კანდიდატს აძლევს, მაგრამ მიუთითებს სხვებსაც (შეუძლიათ არც მიუთითონ), უპირატესობის რიგითობის მინიჭებით – გვარების გასწვრივ შესაბამისი ციფრების დასმით: მისთვის ყველაზე სასურველი კანდიდატის გვარის გასწვრივ მიუთითებს ციფრს 1, შემდეგი სასურველი კანდიდატის (ანუ ვის ისურვებდა იმ შემთხვევაში, თუკი პირველი ვერ გავიდოდა) უთითებს ციფრს 2 და ასე შემდეგ. ხმათა დათვლის დროს ბიულეტენები ლაგდება ამა თუ იმ კანდიდატის პირველი ხმების მიხედვით. თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას პირველი დათვლით, ის კანდიდატი, რომელმაც ყველაზე ნაკლები ხმა მიიღო გამოეთიშება სიას. ამასთან, მისი მეორე ხმები შესაბამისად გადანაწილდება დარჩენილ კანდიდატებზე. ეს ოპერაცია მანამდე გრძელდება, სანამ ხმათა ასეთი გადანაწილებით რომელიმე კანდიდატი აბსოლუტურ უმრავლესობას არ მიიღებს⁷ ([იხ. დანართი 1](#)).

ალტერნატიული ხმის მიცემის წესის უპირატესობა ისაა, რომ საჭირო არაა მეორე ტურის გამართვა.

ეს წესიც ფაქტიურად მცირე პარტიების ხარჯზე ლიდერი პარტიების გაძლიერებას ემსახურება.

⁶ საფრანგეთის V რესპუბლიკის ყველა კანდიდატი ამ წესითაა არჩეული და მხოლოდ შარლ დე გოლმა – 1958 წელს – შესძლო პირველსავე ტურში გამარჯვება 78,5%-ით.

⁷ ასეთი სისტემა გამოიყენება, მაგალითად, ავსტრალიაში წარმომადგენელთა პალატის არჩევნისას.



თუმცა, თეორიკოსები ეჭვობენ, რამდენად მართებულია მეორე და, მითუმეტეს, მესამე ადგილის უპირატესობის მქონე კანდიდატების გათანაბრება პირველთან.

კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით არჩეულად ითვლება კანდიდატი (ან კანდიდატთა სია), რომელიც მიიღებს ამომრჩეველთა ხმების განსაზღვრულ (გარკვეულ) - კვალიფიცირებულ რაოდენობას. კვალიფიცირებული რაოდენობა კანონმდებლობით განისაზღვრება და, როგორც წესი, აბსოლუტურ უმრავლესობაზე მეტია (მაგ. ხმების 2/3 ან 3/4). ამ სისტემას ძალიან იშვიათად იყენებენ, რისი მთავარი მიზეზიც მისი არაეფექტიანობაა.

ამრიგად, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დადებითი მხარეებია:

- გასაგებად უფრო მარტივია (ამომრჩეველი ხმას კონკრეტულ კანდიდატს აძლევს და ნათლად ჩანს, სხვებს ვინ აჯობა);
- შედარებით მცირეა იმის ალბათობა, რომ არჩეული ორგანო პოლიტიკურად „ჭრელი“ აღმოჩნდეს;

უარყოფითი მხარეებია:

- ე.წ. „დაკარგული“ ხმების რაოდენობა (იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, ვინც სხვა კანდიდატებს, ანუ გამარჯვებულის წინააღმდეგ, მისცა ხმა) შეიძლება საგრძნობი აღმოჩნდეს – იმაზე მეტიც კი, ვიდრე გამარჯვებულის მიერ მიღებული ხმებია (ეს დამოკიდებულია სისტემის მოდიფიკაციაზე);
- მხარდამჭერთა რაოდენობით მეორე პარტიამ, თუნდაც ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე მყოფ პარტიას უმნიშვნელოდ ჩამორჩებოდეს, შეიძლება ვერც ერთი (ან ძალიან ცოტა) მანდატი მიიღოს – თუ ორივე პარტიის მხარდამჭერები თანაბრად არიან განაწილებული საარჩევნო ოლქებში;
- მხარდამჭერთა რაოდენობით პირველმა პარტიამ შეიძლება უფრო ნაკლები მანდატი მიიღოს, ვიდრე გავლენით მეორე პარტიამ, თუ მის მხარდამჭერთა დიდი რაოდენობა კონცენტრირებულია რამდენიმე მსხვილ საარჩევნო ოლქში, უფრო მეტ ოლქში კი მის მხარდამჭერთა რაოდენობა ოდნავ ჩამორჩება მეორე პარტიისას;
- ამრიგად, შეიძლება ისე მოხდეს, რომ არჩეულ ორგანოში უმრავლესობა მოსახლეობის უმცირესობის (და, შესაძლოა, მნიშვნელოვანი უმცირესობის) წარმომადგენელთა ხელში აღმოჩნდეს. ეს კი ეწინააღმდეგება დემოკრატიის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს – ხალხის უმრავლესობის მმართველობის პრინციპს;
- საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ გაიმარჯვოს გაურკვეველი პოლიტიკური შეხედულებების, მაგრამ საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებისთვის კარგად ცნობილმა ან დიდი ფინანსური შესაძლებლობის (თუნდაც სათანადო განათლების, გამოცდილებისა და უნარის არმქონე) პირმა და, თანაც, შეიძლება



მას მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებდეს (ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია ე.წ. „ახალი დემოკრატიის“ ქვეყნებისთვის);

პროპორციული საარჩევნო სისტემა

პროპორციული სისტემა პირველად ბელგიაში გამოიყენეს 1889 წელს. ამჟამად 50-ზე მეტ ქვეყანაში (მათ შორის ისრაელში, გერმანიაში, ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიაში და სხვ.) მოქმედებს. ამ სისტემის გამოყენებისას საარჩევნო ოლქი ყოველთვის მრავალმანდატიანია და პარტიებს შორის მანდატები ნაწილდება ოლქში⁸ მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. პროპორციული საარჩევნო სისტემები ერთიმეორისაგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორი წესით აძლევს ხმას ამომრჩეველი და როგორი წესით ნაწილდება მანდატები პარტიებს შორის; მთელი ქვეყანა ერთ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქს წარმოადგენს, თუ დაყოფილია რამდენიმე მრავალმანდატიან ოლქად.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს საარჩევნო ზღურბლის (ბარიერის) მნიშვნელობა. პროპორციული სისტემის შეუზღუდავი გამოყენება ხშირად იწვევს არჩევით ორგანოში მრავალი პატარა პარტიის ნაკლებგავლენიანი, მაგრამ ამბიციური წარმომადგენლების მოხვედრას. საარჩევნო ზღურბლი არის პარტიული სიის მიერ მიღებულ ხმათა მინიმალური პროცენტული რაოდენობა (არჩევნების ან კენჭისყრის მონაწილეთა რაოდენობიდან), რომელიც პარტიას უფლებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს მანდატების განაწილებაში. მისი დაწესება ხელს უშლის წარმომადგენლობით ორგანოში ძალიან სუსტ პარტიათა წარმომადგენლების მოხვედრას, რომლებიც, ცხადია, ამ ორგანოში „ამინდს“ ვერ შექმნიან, მაგრამ შეიძლება პრობლემები შეუქმნან არა მარტო უმრავლესობის ჩამოყალიბებას, მთავრობის შექმნას და, შემდგომ, საჭირო გადაწყვეტილებათა მიღებას, არამედ ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბებასაც.

თუმცა, საარჩევნო ზღურბლის დაწესებისას დიდი სიფრთხილეს საჭირო, ვინაიდან მაღალი ზღურბლის შემთხვევაში შეიძლება ზღურბლგადალახულ პარტიათა მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა მათ მოწინააღმდეგეთა რაოდენობაზე

⁸ საარჩევნო ოლქის ფორმირების ორი მეთოდი არსებობს: პირველი (უფრო გავრცელებული), როდესაც საარჩევნო ოლქის საზღვრები ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებს ემთხვევა და მეორე – უფრო იშვიათი (ძირითადად იყენებენ პრეზიდენტის არჩევისას), როცა მთელი ქვეყნის ტერიტორია ერთ საარჩევნო ოლქს წარმოადგენს.



ნაკლები აღმოჩნდეს და არჩეულ ორგანოში მხოლოდ უმცირესობის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ. მით უმეტეს, რომ ზღურბლს მიღმა დარჩენილი პარტიების მიერ მიღებული ხმები გამარჯვებულ პარტიებზე ნაწილდება. დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური (პარტიული) სისტემა ჩამოყალიბებულია და არჩევნებში ძირითადად ორი-სამი ძლიერი პარტია მონაწილეობს, ბარიერი მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ამომრჩეველთა წარმომადგენლობაზე. გარდამავალი ქვეყნებისათვის კი სასურველია, რომ საარჩევნო ზღურბლის სიდიდე 3-5%-ს არ აღემატებოდეს⁹.

პროპორციული სისტემის (შერეული სისტემისაც) გამოყენებისას ძირითადი სირთულე ამომრჩეველთა ხმების დათვლაა, რაც მანდატების პროპორციული განაწილების შედეგად საარჩევნო სუბიექტების „გამოუყენებელ ხმებსა“ და გაუნაწილებელ მანდატებს უკავშირდება. ზუსტ პროპორციებთან მისახლოებლად საჭირო გახდა სხვადასხვა მეთოდის შემუშავება.

საერთაშორისო პრაქტიკაში დეპუტატთა მანდატების განაწილების მეთოდთა ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყენება:

- კვოტირების მეთოდები
- გამყოფთა მეთოდი

კვოტირების მეთოდით დათვლისას თითოეული სია ადგილებს იღებს საარჩევნო კვოტის მიხედვით. ეს ორსაფეხურიანი პროცესია. მანდატების განაწილება ორ ეტაპად ხორციელდება. ჯერ განისაზღვრება საარჩევნო კვოტა – ერთი კანდიდატის ასარჩევად საჭირო ხმათა ყველაზე მცირე რაოდენობა (ე.ი. მანდატის „კუთრი წონა“). საარჩევნო კვოტის გამოთვლა სხვადასხვა ფორმულის მიხედვით ხდება (*იხ. დანართი 2*). მარტივი ანუ ჰეირის კვოტის მეთოდით კანდიდატის არჩევისთვის აუცილებელი კვოტა გამოითვლება სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობის ადგილების რაოდენობაზე გაყოფით. მაგალითად, თუ საერთო ჯამში მიცემულია V (მოქმედი) ხმა და უნდა შეივსოს N დეპუტატის ადგილი, ცხადია, ერთი მანდატის მისაღებად სიამ უნდა მოაგროვოს არა ნაკლებ $V:N=k$ ხმისა. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამ გამოთვლით ყველაზე პროპორციული შედეგის მიღებაა შესაძლებელი. ჰოგენბახ-ბიშოპის კვოტის გამოსათვლელად ხმების რაოდენობას ყოფენ ადგილების რაოდენობაზე ერთით მეტ რიცხვზე:

$$V:(N+1)=k.$$

⁹ გერმანიაში (ერთ-ერთმა პირველმა შემოიღო საარჩევნო ზღურბლი) 5 პროცენტთან ბარიერია. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ის, როგორც წესი, 3-დან 5 პროცენტამდე მერყეობს.



ამ ფორმულაში ერთი ვირტუალური მანდატის დამატება მიზნად ისახავს საარჩევნო კვოტის დაბლა დაწევას, რაც უფრო მეტ პატარა პარტიას აძლევს მანდატის მოპოვების შესაძლებლობას.

საარჩევნო კვოტის განსაზღვრის შემდეგ თითოეული სიის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა იყოფა კვოტაზე და განაყოფით განისაზღვრება მიღებულ მანდატთა ოდენობა. ამ ოპერაციის შედეგად მანდატების უმეტესობა განაწილდება, მაგრამ ყოველთვის რჩება ნაშთი – გაუნაწილებელი („მორჩენილი“) ადგილები და „გამოუყენებელი“ ხმები.

ეს ადგილები დამატებითი წესის მიხედვით ნაწილდება. ჩვეულებრივ, ეს არის უდიდესი ნაშთის ან უდიდესი საშუალოს წესი.

უდიდესი ნაშთის წესით ადგილის მიკუთვნება ხდება იმ სიისათვის, რომელსაც პირველი განაწილების შემდეგ ყველაზე მეტი „გამოუყენებელი“ ხმა დარჩა. თუ კიდევ დარჩა გაუნაწილებელი ადგილები ეს პროცესი განმეორდება და გაგრძელდება მანამ, სანამ ყველა დარჩენილი ადგილი არ განაწილდება.

უდიდესი საშუალოს წესით მანდატის მისაკუთვნებლად ამომრჩეველთა „გაუნაწილებელი“ ხმები უნდა გაიყოს პირველადი განაწილებით მიღებული მანდატების რიცხვზე (**უმცირესი გამყოფი ანუ ადამსის ფორმულა**), ან მანდატების რაოდენობაზე ერთით მეტ რიცხვზე (**უდიდესი გამყოფის ანუ ჯეფერსონის ფორმულა**), ან ამ ორი რიცხვის საშუალო გეომეტრიულზე (**საშუალო გეომეტრიულის ანუ ჰანტინგტონ-ჰილის ფორმულა**)¹⁰. დარჩენილი მანდატები გადაეცემა იმ სიებს, რომელთაც აღმოაჩნდათ ასეთი წესით მიღებული საშუალოს ყველაზე დიდი მნიშვნელობა. (უდიდესი საშუალოს გამოთვლის წესები [*იხ. დანართი 3-ში*](#)).

საარჩევნო კვოტის გამოთვლაზე დამყარებული ზემოგანხილული მეთოდების გამოყენებისას ნაშთის სახით მაინც რჩება გამოუყენებელი ხმები, რომელთა რაოდენობა კვოტაზე დამოკიდებულებით შეიძლება საკმაოდ საგრძნობიც იყოს. მანდატების მფლობელთა განსაზღვრა კი ორ ეტაპად ხდება: ჯერ ყველა მიღებული ხმის, შემდეგ კი გამოუყენებელი ხმების მიხედვით. იმისათვის, რომ მანდატების განაწილება არა ორ, არამედ ერთ ეტაპად განხორციელდეს, უნდა შეიცვალოს

¹⁰ ეს მეთოდები უფრო მათი ავტორების სახელებითაა ცნობილი.



გამოთვლის პრინციპი: კვოტის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა ყველა ამომრჩევლის ხმები, არამედ ცალკეული პარტიის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა. სწორედ ამას აკეთებს **გამყოფთა მეთოდი**.

მეთოდის არსი ისაა, რომ ყოველი სიის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა იყოფა რიცხვთა ზრდად მწკრივზე. მიღებული განაყოფები ლაგდება კლებადობის მიხედვით. ის განაყოფი, რომლის რიგითი ნომერი გასანაწილებელი მანდატების რიცხვს ემთხვევა, იქნება საარჩევნო კვოტა.

პრაქტიკულად, კვოტა განაყოფთა მიღებულ მწკრივში უმცირესი რიცხვია. მისი ტოლი და მასზე მეტი განაყოფების მქონე სიები პროპორციულად ინაწილებენ მანდატებს. განაწილების პროცესი პრაქტიკულად ერთ ეტაპად ხორციელდება.

გამყოფთა მეთოდები ერთმანეთისაგან მხოლოდ გამყოფი მწკრივის ტიპით განსხვავდება: **დ'ონტის ფორმულის**¹¹ გამოყენებისას თითოეული პარტიული სიის მიერ მოპოვებული ხმები იყოფა ნატურალურ რიცხვთა მწკრივზე (1, 2, 3, 4 და ა.შ.). **სენ-ლაგის ფორმულაში** მიღებული ხმების რაოდენობა იყოფა კენტ რიცხვთა მწკრივზე (1, 3, 5, 7, და ა.შ.). ანალოგიურია გამყოფთა სხვა მეთოდებიც, განსხვავება მხოლოდ გამყოფთა მწკრივებშია (*იხ. [დანართი 4](#)*).

რამდენადაც პროპორციული სისტემა მრავალმანდატიან ოლქებში გამოიყენება და პარტიები ან ბლოკები წარადგენენ არა ერთეულ კანდიდატებს, არამედ მთელ სიებს (ჩვეულებრივ იმდენი კანდიდატისას, რამდენი მანდატიცაა გამოყოფილი ოლქზე), არანაკლებ მნიშვნელოვანია მანდატების განაწილება თვითონ პარტიულ სიაში. აქ სხვადასხვა ვარიანტის გამოყენება შესაძლებელია: **1. ხისტი სიების, 2. მოქნილი სიების და 3. პრეფერენციების**

1. ხისტი სიების გამოყენებისას ამომრჩეველი ხმას აძლევს სასურველ პარტიულ სიას მთლიანობაში. ბიულეტენში უთითებენ მხოლოდ პარტიების დასახელებებს, ემბლემებს, ზოგჯერ კი – მთავარი (ძირითადი) კანდიდატების გარკვეულ რაოდენობას. ხისტი სიების პრინციპით მანდატების განაწილებისას, როგორც წესი, პრობლემები არ იქმნება. კანდიდატები სიაში განლაგებულნი არიან არა ანბანური თანამიმდევრობით, არამედ პარტიაში მათი მდგომარეობის („წონის“) მიხედვით. ამომრჩეველები ხმას აძლევენ სიას და არ გამოხატავენ დამოკიდებულებას ცალკეული კანდიდატის მიმართ. შესაბამისად, მანდატები გაიცემა სიაში კანდიდატის ადგილის მიხედვით. ხისტი სიების პროპორციული სისტემა გამოიყენება ესპანეთში, პორტუგალიაში, ისრაელში, რუსეთში, უკრაინაში.

¹¹ სახელი ვიქტორ დ'ონტის საპატივცემულოდ დაერქვა



ხისტი სიების პროპორციული სისტემის უპირატესობა ისაა, რომ: ხმის მიცემისას, პირველ რიგში, ირჩევენ პარტიის პლატფორმასა და მოქმედების პროგრამას. ეს სისტემა მარტივია განსახორციელებლად და ყველაზე მცირეხარჯიანია. მისი ნაკლი კი ისაა, რომ პარტიულ სიით შეიძლება დეპუტატად ან სენატორად აირჩიონ („გაძვრეს“) არაკომპეტენტური, არაპოპულარული, საზოგადოებისთვის უცნობი პოლიტიკოსი.

2. უფრო რთულადაა საქმე, როცა გამოიყენება ხმის მიცემის **პრეფერენციული**¹² **სისტემა**: ამომრჩეველი ხმას აძლევს სიას და კანდიდატებსაც, ამასთან ანიჭებს მათ რიგით ნომრებს (1,2,3,...), რითაც მიუთითებს, კანდიდატების როგორი თანამიმდევრობაა მისთვის უფრო სასურველი (ჩვეულებრივ ამომრჩეველს პრეფერენციის გამოხატვა შეუძლია იმ სიის კანდიდატების მიმართ, რომელიც აირჩია). გამოხატული პრეფერენციების მიხედვით გამოითვლება თითოეული კანდიდატის ინდივიდუალური რიცხვი. ამ რიცხვებისაგან ადგენენ ცხრილს მანდატები გაიცემა ამ ცხრილში კანდიდატის ადგილის მიხედვით. რიცხვების ტოლობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ პრედენტენტს, რომელსაც პარტიულ სიაში უფრო მაღალი ადგილი უჭირავს. პრეფერენციების სისტემა გამოიყენება ფინეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში.

პრეფერენციების სისტემას, გარდა იმისა, რომ მაქსიმალურად ითვალისწინებს ამომრჩეველის ნებას, სხვა უპირატესობაც გააჩნია. ის პროპორციული წარმომადგენლობის მიღწევის საშუალებას იძლევა არა მარტო პარტიული, არამედ ნებისმიერი სხვა, ამომრჩეველისათვის სასურველი ნიშნის მიხედვით, რამდენადაც ხმას აძლევს როგორც პარტიულ სიას, ასევე პიროვნებებსაც (პერსონალიებსაც). ამ სისტემის ნაკლი კი ისაა, რომ ამომრჩეველი ორიენტირდება ცალკეულ პოლიტიკურ ფიგურაზე და არა მთლიანად პარტიის ინტერესებსა და მიზნებზე. თუმცა მთავარი ნაკლი ხმის დათვლისა და გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურის სირთულეა. კერძოდ, ის მოითხოვს ხმების ცენტრალიზებულად დათვლას: ყველა ბიულეტენი დასათვლელად გადატანილ უნდა იქნეს საოლქო კომისიაში¹³.

მიუხედავად ამისა, ეს სისტემა წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული მცირე საარჩევნო ოლქებში, პირველ რიგში მუნიციპალური არჩევნების დროს.

3. „**მოქნილი**“ სიების სისტემა სწორედ წინა ორი სისტემის ნაკლოვანებების გადასალახავად იქნა შემოღებული. მისი გამოყენებისას ამომრჩეველს საშუალება

¹² უპირატესობას” ნიშნავს

¹³ თუმცა ხმების ავტომატური დათვლის შემთხვევაში, რომელიც ჯერ-ჯერობით შორეული პერსპექტივაა, ეს ნაკლი პრაქტიკულად ნიველირდება.



ემლევა აირჩიოს როგორც პარტიული სია, ასევე განსაზღვროს პრეფერენციები – ერთი ან რამდენიმე კანდიდატის მითითებით. პირველ შემთხვევაში ამომრჩეველთა ხმები დაითვლება ისევე როგორც ხისტი სიების პრინციპის გამოყენებისას, მეორეში – როგორც პრეფერენციულისას. შესაბამისად, მანდატს ის კანდიდატი მიიღებს, რომელსაც ამომრჩეველთა მეტი მხარდაჭერა ექნება. შედეგად დეპუტატი შეიძლება გახდეს ისეთი კანდიდატი, რომელიც პატიული სიის ბოლოში იმყოფებოდა. ეს სისტემა გამოიყენება შვეიცარიაში, ავსტრიაში, იტალიაში.

კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს ამომრჩეველს ე. წ. **თავისუფალი სიები** აძლევს (გამოიყენება მაგ.ფინეთის პარლამენტის არჩევისას). ამ შემთხვევაში, ისევე როგორც მაჟორიტარული წესისას, ბიულეტენებში კანდიდატთა სია მოცემულია ანბანური თანამიმდევრობით, მაგრამ მითითებულია პარტიულობაც. პარტიებისათვის მანდატების მიკუთვნება მოხდება მისი წევრი კანდიდატების მიერ მიღებული ჯამური ხმების რაოდენობის მიხედვით, პროპორციული განაწილების წესით. მაგრამ იმას, თუ კონკრეტულად ვინ მოხვდება მომავალი პარტიული ფრაქციის შემადგენლობაში, მხოლოდ ამომრჩევლის ინდივიდუალური მხარდაჭერა განსაზღვრავს.

თავისუფალი სიების ფარგლებში პრეფერენციული ხმის მიცემის კიდევ ერთი სახესხვაობაა ე.წ. **პანაშირება ან პანაშაჟი**¹⁴. ესაა მეთოდი, რომელიც ამომრჩეველს უფლებას აძლევს სხვადასხვა სიის კანდიდატებს მისცეს ხმა. ამომრჩეველი, როგორც წინა შემთხვევაში, ხმას აძლევს ინდივიდუალურ კანდიდატებს, მაგრამ მას აქვს არა ერთი ხმის უფლება, არამედ იმდენის, რამდენი დეპუტატიც უნდა აირჩეს მრავალმანდატიან ოლქში,¹⁵ ამასთან, ის არაა ვალდებული ხმა მისცეს მხოლოდ ერთი პარტიის წარმომადგენელს – შეუძლია ორი, სამი ან მეტი პარტიის წარმომადგენელს მისცეს უპირატესობა.

ერთადერთი გადასაცემი ხმის სისტემას განსაკუთრებული ადგილი უკავია საარჩევნო სისტემებში¹⁶. იგი ამომრჩეველს საშუალებას აძლევს თავისი დამოკიდებულება გამოხატოს როგორც პარტიის, ასევე კონკრეტული კანდიდატის მიმართ. ეს სისტემა აერთიანებს როგორც პროპორციული, ასევე მაჟორიტარული სისტემის ბევრ დადებით თვისებას, ის ითვალისწინებს არა

¹⁴ ფრანგული სიტყვიდან **panachage** რაც „შერევას“ ნიშნავს.

¹⁵ მაგალითად, ციურიხის კანტონში (შვეიცარია) ამომრჩეველს საერთო ჯამში 35 ხმა აქვს,

¹⁶ ერთი გადასაცემი ხმის სისტემა წარმოიშვა წინა საუკუნის ლიბერალურ იდეებზე, რომლის მთავარი თეზა არის - არა საზოგადოებრივ ერთობათა და პოლიტიკურ პარტიათა, არამედ ინდივიდთა წარმომადგენლობა. სისტემა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიმუშავეს ინგლისელმა იურისტმა **თ.ჰეირმა** (1854) და დანიელმა მათემატიკოსმა **კანდრემ** (1855).



მხოლოდ პირველ, არამედ მეორე და მესამე პრეფერენციებს, შესაბამისად, ხმების დათვლა შედარებით რთულია. გარდა ამისა, ამ სისტემაში ერთი სიით გადაიან კანდიდატები სხვადასხვა პარტიიდან. ამრიგად, ამომრჩეველს საშუალება ეძლევა ერთდროულად ხმა მისცეს როგორც პარტიას, ასევე კონკრეტულ კანდიდატს. სისტემა მხოლოდ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება.

ამ სისტემით კანდიდატი არჩეულად ჩათვლება თუ იგი საარჩევნო კვოტის მიხედვით გამოთვლილ ხმათა რაოდენობას დააგროვებს. მომდევნო ხმებით სხვა კანდიდატს ირჩევენ საარჩევნო ბიულეტენებზე მეორე არჩევანის მიხედვით. ადგილების გადაუნაწილებლობის შემთხვევაში პროცედურა ისევ გრძელდება.

თეორიულად ელექტორატის პრეფერენციის განსაზღვრის მოცემული მოდელი გამოდგება “უპარტიო” საზოგადოებაშიც, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, როდესაც კანდიდატის პოლიტიკური კუთვნილება და შეხედულებები არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც ქვეყნის პარლამენტის არჩევნებისას.

დღეისათვის გავრცელებული ერთი გადასაცემი ხმის სისტემა იყენებს პროპორციული წარმომადგენლობის რეალიზაციის განსაკუთრებულ “ტექნოლოგიას”, რომლის მთავარ ელემენტს წარმოადგენს ამომრჩეველთა პრეფერენციული კენჭისყრა.

ერთი გადასაცემი ხმის სისტემის ძირითადი ელემენტებია:

1. საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა რომ არჩევნები ჩატარდეს მრავალმანდატიან ოლქებში. რადგან ამ სისტემით ხდება კანდიდატთა პერსონალური არჩევა. ოლქები, როგორც წესი, დიდი არ არის;
2. უნდა დადგინდეს საარჩევნო კვოტა (რომელიმე წესით). თუ მაგალითად, 100 მოქალაქე ირჩევს 5 წარმომადგენელს, *კვირის კვოტით*, ყველა გამარჯვებულს ხმა უნდა მისცეს 5 ამომრჩევიდან ერთმა მაინც, ე.ი. $100:5=20$ კაცმა. თუკი, თუნდაც ერთი კანდიდატი მიიღებს საარჩევნო კვოტაზე ერთით მეტ (21) ხმას, დარჩენილი 79 ხმის განაწილება შეუძლია არა უმეტეს სამი კანდიდატისა. შედეგად ჯამში 4 დეპუტატი აირჩევა, მაშინ, როცა საჭიროა - 5. ხუთივე დეპუტატი აირჩევა იმ შემთხვევაში, როცა ყველა მათგანი მიიღებს საარჩევნო კვოტას – 20 ხმას. არჩევნების დროს ჩვეულებრივ *დრუპის კვოტა* გამოიყენება; *ამ კვოტის გამოყენებით არჩევისათვის კანდიდატმა საჭიროა მიიღოს იმ განაყოფზე თუნდაც ერთი მთელი ხმით მეტი, რომელიც მიიღება ამომრჩეველთა საერთო ხმების გაყოფით ერთი*



ერთეულით გაზრდილ მანდატების რაოდენობაზე – $V/(N+1)+1$ (ამ მაგალითის მიხედვით, მანდატის მისაღებად საჭირო მინიმალური ზღვარი შეადგენს $100/(5+1)+1=17$ მთელ ხმას).

3. შესაძლოა მოხდეს ისე, რომ ასეთი შემცირებული კვოტის შემთხვევაშიც დეპუტატთა ადგილები არ შეივსოს: თუ კენჭს იყრის ბევრი კანდიდატი და ვერცერთმა ვერ მიიღო კვოტა, ან როცა ერთი კანდიდატი მიიღებს ხმების ძალიან დიდ რაოდენობას და დანარჩენები ვერ დააგროვებენ კვოტას. თუ ერთმა კანდიდატმა მიიღო 34,51 ხმა (საარჩევნო კვოტა არის 17), მას მიეცემა არა 2 მანდატი, არამედ 1 მანდატი, მაგრამ 34 ხმით. დარჩენილი 17 ხმა მისთვის “ზედმეტია”. ასევე აღარ სჭირდება ხმები ბოლო მეხუთე ადგილზე გასულ კანდიდატს, რომელსაც ვეღარ ექნება პრეტენზიები მანდატზე. მათ შეუძლიათ თავიანთი ზედმეტი ხმები გადაუნაწილონ სხვებს, მაგრამ ეს მხოლოდ ამომრჩევლის ნების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამიტომაც საჭირო პრეფერენციის მეთოდი. ერთი გადასაცემი ხმის სისტემის გამოყენებისას ყველა მოქალაქეს აქვს ერთი ხმა, რომელსაც იგი აძლევს მისთვის სასურველ კანდიდატს – სიაში მის გასწვრივ წერს ციფრს 1. იმ შემთხვევისათვის, თუ კანდიდატს ამომრჩევლის ხმა აღარ დასჭირდება, მას შეუძლია სხვა კანდიდატებს გადასცეს ერთი თავისი ხმა (აქედან სახელწოდებაც „ერთი გადასაცემი ხმის სისტემა“) – ამისათვის სხვა კანდიდატების გვარების გასწვრივ წერს ციფრებს 2, 3 და ა.შ. პრეფერენციის კლების მიხედვით. თავდაპირველად ითვლება პირველი პრეფერენციები, შემდეგ, თუ საჭირო იქნა, მეორე, მესამე და ა.შ. შედეგად, ამომრჩეველთა ხმები არ იკარგება როგორც ეს ხდება მაჟორიტარული სისტემის გამოყენებისას;

ამ მეთოდის უპირატესობად მიიჩნევენ:

პატარა და ეთნიკური უმცირესობის პარტიებისთვის ხმების მიღების მაღალ ალბათობას. ბევრ შემთხვევაში ხმების 5%-ის მიღება საკმარისია ადგილის მოსაპოვებლად.

„დაკარგული ხმების“ ნაკლებ რაოდენობას. ეს ამომრჩეველს აძლევს რწმენას რომ მათმა მონაწილეობამ შესაძლოა არჩევნების მთლიანი სურათი შეცვალოს.

ამომრჩეველთა მეტ აქტიურობას. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებულ სამეფოში ხმების დათვლა მარტივი უმრავლესობით მიმდინარეობს და ამომრჩევლის რაოდენობა მეტი უნდა იყოს, ბელგიაში, დანიაში და ლუქსემბურგში, სადაც გადასაცემი ხმის სისტემა მოქმედებს, ბოლო არჩევნებში გაცილებით მაღალი (85%-იანი) აქტიურობა დაფიქსირდა.



ერთი პარტიის აბსოლუტური უმრავლესობის შექმნის გამორიცხვა (რაც, თავის მხრივ, თეორიულად მაინც განაპირობებს უფრო შეთანხმებულ მმართველობის სტილს).

ამ სისტემის ძირითადი ნაკლი ისაა, რომ საკმაოდ რთულ მათემატიკურ გამოთვლებს მოითხოვს. თუმცა, კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეს სულაც არ წარმოადგენს გადაუწყვეტელ ამოცანას.

ერთი გადასაცემი ხმის სისტემის მიხედვით არჩევნები ტარდება: ირლანდიისა და მალტის პარლამენტების, ავსტრალიის სენატის, ავსტრალიისა და ირლანდიის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და აშშ რიგი მუნიციპალიტეტების ფორმირება.

ამრიგად, ზოგადად პროპორციული საარჩევნო სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება მოკლედ ასე ჩამოყალიბდეს:

დადებითი მხარეები:

- უზრუნველყოფილია სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მოსახლეობის ჯგუფთა სამართლიანი წარმომადგენლობის არჩევა. სახელდობრ, პარტიის მიერ მიღებულ მანდატთა რაოდენობა მიღებულ ხმათა რაოდენობის პროპორციულია;
- ძალიან მცირეა „დაკარგული“ ხმების რაოდენობა;
- პარტიას შეუძლია პარტიული სიის მეშვეობით უზრუნველყოს სათანადო განათლების, გამოცდილებისა და უნარის მქონე, მაგრამ ამომრჩევლებისთვის ნაკლებად ცნობილი პირის არჩევა;

უარყოფითი მხარეები:

- ამომრჩევლისთვის რთულია პარტიული სიებით წარდგენილი კანდიდატების ვინაობაში გარკვევა და გადაწყვეტილებას იგი, ჩვეულებრივ, ლიდერთა მიმართ თავისი დამოკიდებულების მიხედვით იღებს. ამის გამო კი, არცთუ იშვიათად, არჩეულ პირთა შორის ისეთებიც ხვდებიან, რომელთა ფუნქციაც, ფაქტობრივად, მხოლოდ კვორუმის შექმნა და კენჭისყრაში მონაწილეობაა (ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია ე.წ. „ახალი დემოკრატიის“ ქვეყნებისთვის);
- იმ პირობებში, როდესაც პარტიების შიგა მოწყობა საკმაოდ ხშირად არადემოკრატიულია, პარტიულ სიებს მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელობა (და არა პარტიის წევრები) ადგენს და გამორიცხული არაა, რომ სიები პირადი ერთგულების პრინციპით შეადგინონ (თუმცა, ეს შიდაპარტიული პრობლემაა



და დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთი რამ იშვიათად ხდება);

- თუ ქვეყანაში პოლიტიკური სიჭრელეა, წარმომადგენლობითი ორგანოც ძალიან „ჭრელი“ გამოვა, რაც, როგორც წესი, პოლიტიკურ არასტაბილურობას იწვევს. თუმცა, არსებობს მეთოდი, რომლითაც ხდება „სიჭრელის“ თავიდან აცილება. ეს კეთდება ე.წ. საარჩევნო ზღურბლის შემოღებით.

შერეული საარჩევნო სისტემები

შერეული საარჩევნო სისტემების გამოიყენების მიზანი სხვადასხვა სისტემის დადებით მხარეთა გაერთიანება და ნაკლოვანებათა შემცირებაა. შერეულ სისტემებში სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენება, როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემების ელემენტები. ამ ელემენტების თანაფარდობაზე დამოკიდებულებით ზოგი სისტემა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემისაკენ იხრება, ზოგი – პროპორციულსაკენ. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

კუმულაციური კენჭისყრის მეთოდი. ელექტორატის პრეფერენციის განსაზღვრის ერთ-ერთი მეთოდია კუმულაციური კენჭისყრის მეთოდი, რომელიც გულისხმობს რამდენიმე ხმის გაერთიანების უფლებას ერთი ან სხვადასხვა კანდიდატის სასარგებლოდ. ეს სისტემა, ჩვეულებრივ, მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება და ამომრჩეველს ეძლევა იმდენი ხმის უფლება, რამდენი ადგილიცაა გასანაწილებელი. პრეფერენციის გამოხატვა, რიგითობის მინიჭების ნაცვლად, ხდება ხმის მიცემის ჯერადობით. ამომრჩეველს შეუძლია მისთვის სასურველ კანდიდატს ხმა მისცეს ორჯერ, სამჯერ და ა.შ.. ე.ი. მას შეუძლია მოახდინოს ყველა ხმის „აკუმულირება“ ერთი პრეტენდენტის სასარგებლოდ, ან სხვადასხვა კანდიდატებს შორის გაანაწილოს შეხედულებისამებრ (თუ მას აქვს 3 ხმა, შეუძლია ორი მისცეს ერთს კანდიდატს, ერთიც – მეორეს). არჩეულად კი ის კანდიდატები ითვლებიან, რომლებიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებენ.

ამ მეთოდის ვარიაციას წარმოადგენს **პარტიულ-ბლოკური კენჭისყრა**, როცა ამომრჩეველი ხმას აძლევს ერთიან საარჩევნო ბლოკს, რასაც შედეგად მოჰყვება მრავალმანდატიან ოლქში გამარჯვებული პარტიის მიერ ყველა მანდატის აღება.

ამ სისტემის ვარიაციები გამოიყენება ტაილანდში და ფილიპინებზე.



შერეული სისტემის ყველაზე მარტივი ფორმაა **პარალელური (კომბინირებული) კენჭისყრა**. ამის მაგალითია გერმანიის ბუდესტაგის ქვედა პალატა, რომელიც სანახევროდ მაჟორიტარული, სანახევროდ კი პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატებით კომპლექტდება¹⁷. პარალელური (დამატებითი წევრის) სისტემა ითავსებს სიითი პროპორციული სისტემისა და პლურალურ/მაჟორიტარული სისტემების დადებით ნიშნებს. ის იმ საარჩევნო სისტემების ვარიანტია, რომლებშიც წარმომადგენლები აირჩევიან, როგორც გეოგრაფიული საარჩევნო ოლქებიდან, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით, პროპორციული სისტემით – ჩვეულებრივ, პარტიული სიებით. ამომრჩეველს აქვს ორი ხმის უფლება – ერთი პარტიული სისტემის და მეორე საარჩევნო ოლქის კანდიდატისთვის. საარჩევნო ოლქის წარმომადგენელი, ძირითადად, აირჩევა მარტივი უმრავლესობის პრინციპით. პარტიის წარმომადგენლებს აირჩევენ პარტიის მიერ მიღებული ხმებიდან გამომდინარე. პარტიული სიებიდან კანდიდატების შერჩევა ხდება იმ რიგითობის მიხედვით, რომელიც პოლიტიკურმა პარტიამ არჩევნების დაწყებამდე წარადგინა. ამ სისტემის გამოყენებისას, თუ პროპორციულ სისტემაში ადგილების საკმაო რაოდენობაა გამოყოფილი, მცირე პარტიებს, რომლებიც უმცირესობათა ინტერესებს წარმოადგენენ, პლურალურ/მაჟორიტარულ არჩევნებში მარცხის მიუხედავად, შანსი ეძლევათ მანდატები პროპორციული სისტემით მიიღონ.

ეს სისტემა სხვადასხვა ვარიაციით გამოიყენება რუსეთსა და იაპონიაში.

შეზღუდულ კენჭისყრას იყენებენ მრავალმანდატიან ოლქში. ამომრჩეველს შეუძლია ხმა მისცეს რამდენიმე კანდიდატს. ხმების რაოდენობა შეზღუდულია – იგი ნაკლები უნდა იყოს გასანაწილებელ ადგილებზე. გამარჯვებულია კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. ეს სისტემა გამოიყენება ადგილობრივ არჩევნებში, ხოლო ეროვნულ დონეზე მას იყენებენ 1997 წლიდან მხოლოდ ესპანეთში, პარლამენტის ზედა პალატის – სენატის – არჩევნებისას¹⁸. ამ შემთხვევაში, მრავალმანდატიან დიდ ოლქებში ყოველ ამომრჩეველს ეძლევა ერთი ხმით იმაზე ნაკლები, ვიდრე ასარჩევი დეპუტატების რაოდენობაა.

შერეული საარჩევნო სისტემებიდან გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს **კონსენსუსის მეთოდი**.

¹⁷ ასეთივე პრინციპი უდევს საფუძვლად ლიტვის, სლოვენისა და ბულგარეთის პარლამენტის არჩევნებს.

¹⁸ გაერთიანებულ სამეფოში ეს მეთოდი მე-19 საუკუნეში გამოიყენებოდა.



ზოგადად, ამომრჩეველი თავის არჩევანს პოლიტიკური შეხედულებებიდან და სუბიექტური დამოკიდებულებიდან გამომდინარე აკეთებს. ჩვეულებრივ, ის ხმას აძლევს მისთვის სასურველ კანდიდატს თუ პარტიას ან, თუ მისთვის სასურველი კანდიდატურა არ არის წარმოდგენილი, ყველას წინააღმდეგ (ან საერთოდ არ მონაწილეობს არჩევნებში). თუმცა, ამომრჩევლის მოტივაციის ამ ჩარჩოებში მოთავსება შეუძლებელია. ხდება ისეც, რომ ამომრჩეველს აქვს მკვეთრად გამოხატული ანტიპატია კონკრეტული კანდიდატის მიმართ და ამასთან, არ ემხრობა არც ერთ სხვას. ამიტომ, ის არჩევანს აკეთებს ამ კანდიდატის წინააღმდეგ და შესაბამისად, ხმას აძლევს მის კონკურენტს (რომელსაც არ ემხრობა, მაგრამ მის მიმართ ანტიპატია არ აქვს).

სწორედ აღნიშნული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად შეიძლება კონსენსუსის მეთოდის გამოყენება, რაც გულისხმობს ამომრჩევლისთვის ორი არჩევანის მიცემის უფლებას – მას შეუძლია ხმა მისცეს როგორც სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ, ისე არასასურველი კანდიდატის (ან კანდიდატების) წინააღმდეგ. ან გააკეთოს მხოლოდ ერთი არჩევანი ვინმეს სასარგებლოდ (X) ან წინააღმდეგ (Y).

ხმების საერთო რაოდენობის დათვლა ხდება შემდეგი ფორმულით: საარჩევნო კოეფიციენტი უდრის $X+(X-Y)=2X-Y$. მაგალითად, თუ კანდიდატი მიიღებს 25 დადებით და 30 უარყოფით ხმას, მისი საბოლოო შედეგი იქნება 20 ხმა ($25+(25-30)=20$); ამგვარად, დადებითი ხმები ორჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უარყოფითი. თუმცა ყველაზე მეტი დადებითი ხმის მიმღები კანდიდატი შესაძლოა ვერ გახდეს გამარჯვებული მიღებული უარყოფითი ხმების გამო.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას კონსენსუსის მეთოდის გამოყენება იძენს სახელმწიფოს მეთაურის ან თვითმმართველობების ხელმძღვანელების არჩევნისას. პრეზიდენტის, გუბერნატორისა და ა.შ. არჩევნებზე კონსენსუსის მეთოდი ქმნის ეფექტურ ბარიერს ხელისუფლებაში რადიკალური და ექსტრემისტული ორიენტაციის ჯგუფებისთვის, რომელთაც გარკვეული კატეგორიის ელექტორატის მოზიდვა (გადაბირება) მოახერხეს.

კონსენსუსის მეთოდის დროს კანდიდატებს ამომრჩეველთან განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. ისინი არა მარტო იბრძვიან დადებითი ხმების მოსაპოვებლად, არამედ ცდილობენ, აგრეთვე, რომ არ მოიპოვონ უარყოფითი ხმები. აქედან გამომდინარე, ისინი ერიდებიან პოპულისტური ხასიათის განცხადებების გაკეთებას, რამაც მწვავე სოციალური კონფლიქტის დროს შესაძლოა ამომრჩევლის გარკვეული ნაწილი მტრულად განაწყოს. ამგვარად, კონსენსუსის მეთოდი ხელს უწყობს ცენტრისტული, ზომიერი ორიენტაციის ხელისუფლების ჩამოყალიბებას და მიმართულია საზოგადოების გახლეჩის



აღმოსაფხვრელად და არა ხელოვნური უმრავლესობის შესაქმნელად, რომელიც შეიძლება მალევე დაიშალოს.

რაც შეეხება საარჩევნო სისტემების გამოყენების გეოგრაფიას: 2005 წლისათვის მსოფლიოს 199 ქვეყნიდან და ტერიტორიიდან, სადაც არჩევნები ტარდება, 91-ში საკანონმდებლო ორგანოს ასარჩევად გამოიყენებოდა მაჟორიტარული ტიპის სისტემები, 72 ქვეყანაში – პროპორციული წარმომადგენლობის სისტემები, 30-ში კი შერეული სისტემები (დარჩენილი 6 ქვეყნის საარჩევნო პროცედურა არცერთ ამ სისტემაში არ ჯდება).

აღსანიშნავია, რომ დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყნებში მეტწილად პროპორციული სისტემები გამოიყენება¹⁹.

აღწერილი საარჩევნო სისტემებიდან ყველას გააჩნია თავისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას განსხვავებულ შედეგებამდე მივყავართ. ამასთან, განსხვავება უფრო მკვეთრად გამოიხატება მცირე რაოდენობის მანდატების განაწილებისას.

მაგალითზე განვიხილოთ თუ როგორ იცვლება შედეგი განსხვავებული საარჩევნო ფორმულების გამოყენებისას.

დავუშვათ, წარმომადგენლობით ორგანოში 5 მანდატზე პრეტენზიას აცხადება 5 პარტია. „ა“ პარტიამ მიიღო 35 ხმა, „ბ“ პარტიამ – 25, „გ“ – მ – 15, „დ“ – მ – 10, ხოლო „ე“ – მ – 5.

ამგვარად, მთლიანად მიცემულ ხმათა რაოდენობამ შეადგინა 90. რომ განვსაზღვროთ რამდენი ხმა ერგო თითოეულ პარტიას, საჭიროა გამოვითვალოთ ერთი ადგილის „ფასი“, ანუ საარჩევნო კვოტა. ჩვენს შემთხვევაში ბუნებრივი (ჰეირის) კვოტა შეადგენს – $90:5=18.18$ ხმას. ამგვარად, ეს არის ხმათა ის რაოდენობა, რაც „ღირს“ ერთი მანდატი. თუ პარტია მიიღებს კვოტით განსაზღვრულ ხმათა 2-ჯერ მეტ რაოდენობას, ანუ ჩვენს შემთხვევაში 36 ხმას, ის მიიღებს 2 მანდატს და ა.შ. იმისთვის, რომ გავიგოთ თითოეული პარტიიდან არჩეული (გასული) დეპუტატების რაოდენობა, მათ მიერ მიღებული ხმების საერთო რაოდენობა (X) უნდა გავყოთ

¹⁹ გამონაკლისია აშშ, სადაც საკანონმდებლო ორგანოს არჩევა უბრალო უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის მოდიფიკაციით ხდება.



საარჩევნო კვოტაზე (k) ანუ, გვექნება – X:k. ჩვენს მაგალითში „ა“ პარტიისთვის ეს იქნება $35:18 = 1 + 17/18$ (ანუ 1,944... დეკუტატი). მსგავს შედეგებს (ანუ არამთელი ნაწილის შემცველ მაჩვენებელს) მივიღებთ სხვა შემთხვევებშიც. მათემატიკა გვაძლევს წილადი რიცხვების ოპერირების საშუალებას, მაგრამ პარლამენტში უნდა მოხვდნენ „მთელი“ დეკუტატები. თუ მხედველობაში მივიღებთ განაყოფის მხოლოდ მთელ ნაწილებს, მაშინ „ა“ და „ბ“ პარტიებს თითო ადგილი ერგება, ხოლო სხვებს – არცერთი და, შესაბამისად, 3 მანდატი (5–დან) გაუნაწილებელი რჩება. ამას გარდა, რჩება „გამოუყენებელი“ ხმების დიდი რაოდენობა. ცხადია, ეს ხმები როგორღაც გათვალისწინებულ უნდა იქნას დარჩენილი ვაკანსიების შესავსებად. რეალურად, „ა“ პარტიას მეორე მანდატის მისაღებად ოდნავ დააკლდა ხმა. მას ყველაზე დიდი ნაშთი აქვს – 17 ხმა. „გ“ პარტიას, რომელმაც ვერცერთი ხმა ვერ მიიღო 15 ხმა აქვს ნაშთად, ხოლო „დ“ პარტიას – 10. იმ სამ პარტიას, რომელთაც ყველაზე დიდი ნაშთი დარჩათ, გადაეცემათ ეს სამი გაუნაწილებელი მანდატი (იხ. ცხრილი N1.). აღწერილ მაგალითში გადმოცემულია საარჩევნო კვოტის მეთოდის საფუძველზე უდიდესი ნაშთის წესით მანდატების მეორადი გადანაწილების პროცედურა.

ცხრილი N1.

დეკუტატის 5 მანდატის გადანაწილება ბუნებრივი კვოტის მეთოდისა და უდიდესი ნაშთის წესის საფუძველზე

პარტიები	ხმები	საარჩევნო კვოტა (90/5=18)	პირველი განაწილების შემდეგ მანდატების რაოდენობა	დარჩენილი ხმების ნაშთი	დამატებითი მანდატები (მეორე განაწილება)	მანდატების საერთო რაოდენობა
ა	35	: 18 =	1	17	+1	2
ბ	25		1	7	0	1
გ	15		0	15	+1	1
დ	10		0	10	+1	1
ე	5		0	5	0	0
სულ:	90		2	54	3	5

თეორიტიკოსების აზრით, თუმცა ეს მეთოდი ძირითადად პასუხობს პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპებს, მაგრამ რიგ შემთხვევებში



მნიშვნელოვანწილად ეწინააღმდეგება კიდევაც მათ. ხელსაყრელ პირობებში ხვდება მცირე ზომის პარტიები, ვინაიდან, როგორც წესი, სწორედ მათ რჩებათ ხმების უფრო მეტი ნაშთი. რეალურად, ჩვენს მაგალითში სამმა პარტიამ – „ბ“, „გ“ და „დ“, მიიღო თითო ადგილი, რომელიც მათ „დაუჯდათ“ სხვადასხვა ოდენობის ხმებად, შესაბამისად – 25, 15 და 10. „ბ“-ს ხმა ორნახევარჯერ „მცირი დაუჯდა“ „დ“-სთან შედარებით²⁰.

პროპორციულობის პრინციპის დამახინჯება დარჩენილი ხმების (ნაშთის) გამო ხდება – ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე დიდი ნაშთი, რომელზეც ხდება დეპუტატისთვის მანდატის გამოყოფა მეორე გადანაწილების დროს, მაინც ნაკლებია საარჩევნო კვოტასთან შედარებით. პირველი განაწილების დროს მეტი მანდატის განაწილება შესაძლებელია კვოტის როლის შემცირებით. ამის მისაღწევად, ცხადია, უნდა შემცირდეს საარჩევნო კვოტის ზომა. სწორედ ამ მიზნით დაიწყო ალტერნატიული კვოტის განსაზღვრის სხვა ვარიანტების (ჰოგენბახ-ბიშოპის კვოტა; იმპერიალის კვოტა²¹, დრუპის კვოტა – იხ. [დანართი 3](#)). ვნახოთ, რა შედეგს მოგვცემს კვოტის შემცირება: ჩვენს მაგალითში დრუპის კვოტა გაუტოლდება: $V/(N+1)+1=90/(5+1)+1=16$. როგორც ვხედავთ, ერთი მანდატის „ფასი“ შემცირდა 2 ხმით ბუნებრივ კვოტასთან შედარებით. შედეგად, უკვე შესაძლებელია ერთბაშად არა 2, არამედ 3 მანდატის განაწილება (იხ. [ცხრილი 2](#)).

ცხრილი N2.

დეპუტატის 5 მანდატის განაწილება დრუპის კვოტის მეთოდისა და უდიდესი ნაშთის წესის საფუძველზე

პარტიები	ხმები	საარჩევნო კვოტა $V/(N+1)+1=90/(5+1)+1=16$	პირველი განაწილების შემდეგ მანდატების რაოდენობა	დარჩენილი ხმების ნაშთი	დამატებითი მანდატები (მეორე განაწილება)	მანდატების საერთო რაოდენობა
ა	35	: 16 =	2	3	0	2
ბ	25		1	9	0	1

²⁰ ეს განსხვავება განსაკუთრებით საგრძნობია ამომრჩეველთა მცირე რაოდენობისას.

²¹ იტალიის პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნებში 40–50- იან წლებში კიდევ უფრო მცირე კვოტა – $V/(N+3)$ გამოიყენებოდა.



ბ	15		0	<u>15</u>	+1	1
დ	10		0	<u>10</u>	+1	1
ე	5		0	5	0	0
სულ:	90		3	42		5

მოცემულ შემთხვევაში პარტიებს შორის მანდატების გადანაწილება ანალოგიურია წინა მაგალითისა, რომელიც ბუნებრივი კვოტით გადანაწილებას ეხებოდა (თუმცა, სხვა შემთხვევაში, შესაძლოა ასე არც მომხდარიყო), იმ განსხვავებით, რომ „ა“ პარტიამ თავისი ორი მანდატი უკვე პირველი გადანაწილების დროს მიიღო. იმ შემთხვევაში, თუ ავიღებთ $V/N+2$ კვოტას (იმპერიალის კვოტას), ხუთივე ადგილი მაშინვე შეივსება, მაგრამ შედეგი განსხვავებული იქნება (იხ. ცხრილი 3): მეორე მსხვილმა პარტიამ („ბ“ პარტია)

ცხრილი N3.

დეპუტატის 5 მანდატის გადანაწილება იმპერიალის კვოტის მეთოდისა და უდიდესი ნაშთის წესის საფუძველზე

პარტიები	ხმები	საარჩევნო კვოტა $V/(N+2)=$ $90/(5+2)=12$	პირველი განაწილების შემდეგ მანდატების რაოდენობა	დარჩენილი ხმების ნაშთი	დამატებითი მანდატები (მეორე განაწილება)	მანდატების საერთო რაოდენობა
ა	35	$: 12 =$	2	11	0	2
ბ	25		2	1	0	2
გ	15		1	3	+1	1
დ	10		0	10	0	0
ე	5		0	5	0	0
სულ:	90		5	30		5

მიიღო 2 მანდატი, ხოლო „დ“ პარტიამ – ვერცერთი. ყველა მანდატის მფლობელი გაირკვა პირველივე გადანაწილების შედეგად და არ გახდა საჭირო ხმების ნაშთის გამოყენება. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, რაც უფრო ნაკლებია საარჩევნო კვოტა,



მით ნაკლებია ხმების ნაშთი პირველი განაწილების შემდეგ და მით უფრო კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან მსხვილი პარტიები და ბლოკები.

ზემოთ განხილული საარჩევნო კვოტის განსაზღვრის ყოველი მეთოდის გამოყენებისას მაინც რჩება ხმების ნაშთი, რომელიც, კვოტის ტიპზე დამოკიდებულებით, შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები. მანდატების განაწილება, აქედან გამომდინარე, ორ ეტაპად ხორციელდება. იმისათვის, რომ მანდატების გადანაწილება ერთბაშად, ერთ ეტაპად განხორციელდეს საჭიროა შეიცვალოს თვითონ საარჩევნო კვოტის განსაზღვრის პრინციპი. ეს ისეთი საარჩევნო კვოტის მოძიების გზით უნდა მოხდეს, რომელიც საშუალებას მოგვცემს ყველა ადგილი განაწილდეს ზუსტად უდიდესი ნაშთის წესის შესაბამისად, ამასთან, აღარ უნდა გახდეს საჭირო რაიმე ნაშთად დარჩენილი ხმების გათვალისწინება. ეს შესაძლებელია თუ მხედველობაში მივიღებთ არა ამომრჩეველთა ხმების მთლიან რაოდენობას, არამედ თითოეული პარტიის მიერ ცალ-ცალკე მიღებულ ხმებს. სწორედ ამ პრინციპს ემყარება **გამყოფების მეთოდი** (იხ. ზემოთ). მისი ყველაზე უფრო გავრცელებული ნაირსახეობაა **დ'ონტის ფორმულა**. ამ ფორმულის გამოყენებისას თითოეული პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა იყოფა თანმიმდევრულად ნატურალურ რიცხვთა მწკრივზე (1-ზე, 2-ზე, 3-ზე და ა.შ.). მიღებული რიცხვები ლაგდება კლებადობის მიხედვით. ის რიცხვი, რომლის რიგითი ნომერი მანდატების საერთო რაოდენობას ემთხვევა, იქნება კვოტა. როგორც **ცხრილი 4**-დან ჩანს, ჩვენს შემთხვევაში ესაა **12.5** და ის გაცილებით ნაკლებია ბუნებრივ კვოტასთან შედარებით. რამდენჯერაც მოთავსდება აღნიშნული კვოტა ცალკეული პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობაში, იმდენ მანდატს იღებს ის.

ცხრილი N4.

მანდატების განაწილება დ'ონტის მეთოდით

პარტიები	ხმები (X)	X:1	X:2	X:3	მანდატების რიცხვი
ა	35	<u>35</u>	<u>17,5</u>	11,6...	2
ბ	25	<u>25</u>	<u>12,5</u>	8,3...	2
გ	15	<u>15</u>	7,5	5	1
დ	10	10	5	3,3...	0



ე	5	5	2,5	1,6...	0
სულ:	90				5

გამოიყენება გამყოფის სხვა მეთოდებიც. დანიური მეთოდის გამოყენებით (გამყოფთა რიგია: 1-4-7-10...) ჩვენი მაგალითის შემთხვევაში ასეთ შედეგს მივიღებთ:

ცხრილი N5.

მანდატების განაწილება დანიური მეთოდით

პარტიები	ხმები (X)	X:1	X:4	X:7	მანდატების რიცხვი
ა	35	<u>35</u>	<u>8,75</u>	5	2
ბ	25	<u>25</u>	6,25	3,5...	1
გ	15	<u>15</u>	3,75	2,1...	1
დ	10	<u>10</u>	2,5	1,4...	1
ე	5	5	1,25	0,7...	0
სულ:	90				5

ხმების უმცირესი რაოდენობა, რომელიც საკმარისია მანდატის მისაღებად, აღმოჩნდა 10 (ყველაზე ახლოსაა კვოტასთან). შესაბამისად, გ-მ და მასთან ერთად ყველა მასზე მეტი ხმის მქონე პარტიამ მიიღო თითო მანდატი (პირველი განაწილებით). ამის შემდეგ გასანაწილებელი დარჩა 1 მანდატი, რომელსაც მიიღებს უდიდესი ნაშთის (ხმათა რაოდენობის) მქონე ა პარტია²².

²² პირველადი განაწილების მერე „ზეკვოტური“ ხმები დარჩათ: ა პარტიას – 25, ბ პარტიას – 15 და გ პარტიას – 5. სულ 45 ხმა. პროპორციები ასეთია: ა –ს ეკუთვნის გასანაწილებელი (1) ხმის $25/45=5/9$ ნაწილი, ბ–ს $15/45=3/9$ და გ–ს $5/45=1/9$. ე.ი. გასანაწილებელი ერთი მანდატი დარჩენილ ხმათა უმრავლესობით ($5/9$) ა პარტიას ეკუთვნის.



გამყოფთა მწკრივის სხვადასხვა ვარიანტების გამოყენებას გარკვეული (და არა მხოლოდ მათემატიკური) მნიშვნელობა აქვს: კონკრეტულ მეთოდში რაც უფრო ნაკლებია ინტერვალი გამყოფთა შორის, მით უფრო მეტადაა ის გადახრილი პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპიდან. ამასთან, ინტერვალის შემცირება, რომელსაც ფაქტიურად მივყავართ ერთი ადგილის მისაღებად საჭირო საარჩევნო კვოტის შემცირებისკენ, ზრდის მსხვილი, ფავორიტი პარტიების წარმომადგენლობას. სწორედ ისინი იღებენ უფრო მეტ სარგებელს გაყოფის იმპერიალისა და დ'ონტის მეთოდების გამოყენების შემთხვევაში. ამიტომ ამ პარტიებისთვის უფრო ხელსაყრელი შედეგი მიიღება სენ-ლაგის მეთოდის გამოყენებით, რომელიც იმავდროულად არის უფრო პროპორციული ვიდრე დ'ონტის მეთოდი (მაგრამ, მაინც უფრო ნაკლებად პროპორციული, ვიდრე ზემოთ განხილული უდიდესი საშუალოს წესით შერჩეული საარჩევნო კვოტის სისტემა). ყველაზე უფრო ხელსაყრელი მცირე პარტიებისთვის დანიური მეთოდია (ამ მეთოდში გამყოფთა შორის ინტერვალი 3-ის ტოლია).

ახლა განვიხილოთ როგორ განაწილდება ადგილები ერთი გადასაცემი ხმის სისტემის გამოყენებით:

ვთქვათ, ოლქში 90 ამომრჩეველი. მატ უნდა აირჩიონ 3 დეპუტატი 5 ალტერნატიული კანდიდატიდან (ალტერნატიულს წარმოადგენენ არა პარტიები, არამედ კანდიდატები), რომელთაგან ზოგიერთი შესაძლოა ეკუთვნოდნენ ერთსა და იმავე პარტიას ან იყვნენ “დამოუკიდებელნი”. საარჩევნო კვოტა განისაზღვრება დრუპის ფორმულით: $90/(3+1)+1=23$

ცხრილი 6

მანდატების განაწილება ერთი გადასაცემი ხმის სისტემით

(3 ვაკანტური მანდატი, 5 კანდიდატი, 90 ხმა, საარჩევნო კვოტა 23)

კანდიდატები	ეტაპი 1	ეტაპი 2		ეტაპი 3		ეტაპი 4	
	პირველი პრეფერენც იის ხმები	ხმების გადაცემა A	შედეგი	ხმების გადაცემა B	შედეგი	ხმების გადაცემა E	შედეგი
ა	35-არჩეულია	-12	23	-2	23	+3	23



ბ	25	0	25 (არჩ.)	0	23	+3	23
გ	15	+2	17	0	17	-7	20
დ	10	+10	20	+2	20		23 (არჩ.)
ე	5	0	5		7(გამო- ეთიშა)		---
გადაუცემელი	90		90		90	+1	1
სულ:							90

ეტაპი 1. კანდიდატმა ა მიიღო 35 ხმა. სხვა კანდიდატებმა ხმები ასე გაინაწილეს: ბ - 25, გ -15, დ -10, ე - 5 ხმა. საუბარია “პირველ” ხმებზე, რომელთა საშუალებითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ არჩეული დეპუტატები ა და ბ.

ეტაპი 2,3. ორივე გამარჯვებულს აქვთ ჭარბი ხმები: კანდიდატს ა – $35-23=12$ ხმა და კანდიდატს ბ – $25-23=2$ ხმა, რომლებიც უნდა გადაეცეს იმ კანდიდატებს, რომელთაც ა და ბ კანდიდატების ამომრჩევლებმა მიანიჭეს მეორე პრეფერენცია. ვთქვათ, კანდიდატ ბ–ს 25-ვე ამომრჩეველმა ერთხმად მიანიჭა მეორე პრეფერენცია კანდიდატ ე–ს, რომელიც იმავე პარტიის წევრია, ე.ი. მისი ყველა (ორივე) თავისუფალი ხმა გადაეცა კანდიდატ ე–ს და მას გაუხდა $5+2=7$ ხმა;

რაც შეეხება კანდიდატ ა–ს ამომრჩეველთა მეორე ხმებს, აქ საქმე შედარებით რთულადაა: მათგან 30-მა ამჯობინა -დ, ხოლო 5-მა – გ; ამრიგად, A-კანდიდატის ელექტორატის $30/35=6/7$ -მა მეორე პრეფერენცია მიანიჭა დ–ს და $5/35=1/7$ -მა – გ–ს. შესაბამისად, 12 თავისუფალი ხმის $1/7$ –უნდა გადაეცეს – გ, ხოლო დანარჩენი – დ კანდიდატს. შედეგად, გაყოფით მიღებული რიცხვების დამრგვალებით, ვღებულობთ 10 ახალ ხმას დ –სთვის და 2 ხმას – გ-სთვის. შემდეგი, მეოთხე ეტაპისათვის გვყავს ორი(ა და ბ) არჩეული დეპუტატი და სამი პრეტენდენტი –ერთ თავისუფალ მანდატზე: გ – 17 ხმით(15 ”პირველი” +2”მეორე”), დ - 20 ხმით (აქედან 10 გადასცა კანდიდატმა ა–მ) და ე -7 ხმით (აქედან 2 ხმა მიიღო ბ-გან); ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია საარჩევნო კვოტას (23).

ეტაპი 4. ე - კანდიდატი, როგორც ნაკლები ხმების მქონე, არჩევნებს გამოეითიშა. მისი ბიულეტენების ხელახალი გადახედვისას გაირკვა, რომ ხუთი ამომრჩევიდან, რომელთაც პირველი უპირატესობა მიანიჭეს ე კანდიდატს,



ერთერთს მომდევნო პრეფერენცია არ მიუთითებია (ამიტომ მისი ხმა შემდგომ უკვე აღარავის გადაეცემა). დარჩენილი ოთხი ამომრჩევლის უპირატესობანი თანაბრად იყოფა გ და დ კანდიდატებს შორის. შესაბამისად მათ გადაეცემათ 2-2 ხმა. მეოთხე ეტაპის შედეგებით გ-კანდიდატის 17 ხმას ორი დაემატა ე-სგან, ასევე დ კანდიდატის არსებულ 20-ხმას დაემატა E კანდიდატის 2 "მეორე" ხმა. მაგრამ ამ მომენტისათვის ე-ს უკვე 7 ხმა აქვს: 5 „პირველი“ და 2“მეორე“ (ზ-დან მესამე ეტაპზე გადაცემული). ეს ხმებიც შეიძლება გადაეცეთ გ და დ კანდიდატებს, ოღონდ, მესამე პრეფერენციის შესაბამისად. ამისათვის ისევ უნდა გადაისინჯოს ზ კანდიდატის ბიულეტენები, რომლებშიც ე-ს მიენიჭა მეორე პრეფერენცია. როგორც გვახსოვს, ამ კანდიდატის ყველა ამომრჩევლმა მეორე პრეფერენცია მიანიჭა კანდიდატ ე-ს. რაც შეეხება მესამე პრეფერენციას, აქ აზრი იყოფა: 25 ამომრჩევლიდან 13 უპირატესობას ანიჭებს კანდიდატ გ-ს (13/25), ხოლო 12 მათგანი კანდიდატ – დ-ს (12/25). ამდენად, ე-ს კუთვნილი ორი ხმიდან გ-სთან გადადის (2X13/25), ხოლო დ-სთან (2X12/25). გაანგარიშებისა და მიღებული რიცხვის დამრგვალებით ვღებულობთ თითო-თითო მესამე ხმას. შედეგად, კანდიდატი გ ე-სგან მიიღებს 3 ხმას: 2 -“მეორე” და 1 “მესამე” ხმას. გადაცემული ხმების დახმარებით დ კანდიდატმა მიაღწია საარჩევნო კვოტას და დეპუტატის მანდატს დაეუფლა. რადგანაც ერთ ადგილზე დარჩენილი იყო მხოლოდ ორი პრეტენდენტი, კანდიდატი დ ნაკლები რაოდენობის ხმების მოპოვების შემთხვევაშიც კი, (ვთქვათ 21 ხმა) ჩაითვლებოდა არჩეულად, რადგან ერთ ადგილზე მხოლოდ ორი პრეტენდენტის დარჩენის შემთხვევაში აზრი აღარ აქვს ხმების გადაცემას. საბოლოო შედეგი ასეთია: ა და ზ კანდიდატები არჩეულ იქნენ თავიდანვე – პირველი ხმების საფუძველზე; რიგით მესამე “ხალხის რჩეული” გახდა კანდიდატი დ, რომელმაც ა და ე კანდიდატების მიერ მინიჭებული მეორე და მესამე პრეფერენციებით აჯობა კანდიდატ გ-ს;

განხილული მაგალითები გვიჩვენებს, რომ ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთი და იგივე პარტიების მონაწილეობით, მაგრამ სხვადასხვა საარჩევნო სისტემით არჩევნები რომ გავმართოთ და ამომრჩეველმა ყველა სისტემაში ერთნაირად მისცეს ხმა, სრულიად განსხვავებულ შედეგს მივიღებთ: შეიძლება ყველა მანდატი ერთ პარტიას ერგოს, თუნდაც მის მხარდამჭერთა რაოდენობა ოციოდე პროცენტს არ აღემატებოდეს, შეიძლება იმავე პარტიამ მანდატების ნახევარიც კი ვერ მიიღოს.

კენეტ ეროუ²³ 1951 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საყოველთაო არჩევნები და ინდივიდუალური ღირებულებები“ შეეცადა ნათელი მოეფინა არჩევნების შედეგების არაერთგვაროვნების პრობლემისათვის, რომელიც კონდორსეს

²³ 1972 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში



პარადოქსის²⁴ სახელითაა ცნობილი. (კენჭისყრის პარადოქსის მაგალითი **იხ. დანართი 5**). ეროუ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კენჭისყრის შედეგები პროცედურის ტიპზე უბრალოდ კი არ არის დამოკიდებული, არამედ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამასთან, ხმის მიცემის თითოეული პროცედურის ზედმიწევნით სამართლიანობამ შეიძლება სულაც არ შეუშალოს ხელი დიამეტრულად განსხვავებული შედეგების მიღებას: ერთ შემთხვევაში ერთი, სხვა შემთხვევებში კი სულ სხვა კანდიდატების გაიმარჯვებს.

კენჭისყრის პარადოქსი ექვექვემ აყენებს არამართო ამომრჩეველთა რამდენიმე პრეფერენციაზე დაფუძნებულ მეთოდებს (ერთადერთი გადასაცემი ხმის სისტემა და ალტერნატიული კენჭისყრა), არამედ მთავარს - აბსოლუტურ უმრავლესობაზე დაფუძნებულ მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემასაც, რომელიც ბევრ ქვეყანაში პრეზიდენტების, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელების და ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტების არჩევნებისას გამოიყენება. არჩევნების მეორე ტურის შედეგების მიხედვითაც კი თუ რომელიმე კანდიდატი ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას მიიღებს, მაინც არ შეიძლება დარწმუნებით ითქვას რომ ყველა პრეტენდენტს შორის სწორედ იგია საუკეთესო.

დასკვნა

საარჩევნო სისტემის იდეალური მოდელი არ არსებობს. თითოეულ მათგანს აქვს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. დიდწილად სწორედ ამით აიხსნება ის მრავალფეროვნება საარჩევნო სისტემებისა, რომელთაც თანამედროვე მსოფლიოში იყენებენ. რომელი მათგანი შეიძლება საუკეთესო ჩაითვალოს? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ორგანოს არჩევა ხდება: საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი, კოლეგიალური (წარმომადგენლობითი) თუ ერთპიროვნული, ფედერალური, რეგიონული თუ ადგილობრივი. საუბარი უნდა იყოს არა ერთ, არამედ რამდენიმე ასეთ მოდელზე. თუმცა, ქვეყნის მასშტაბით ან მის ნაწილში საარჩევნო სისტემის ამა თუ იმ ნაირსახეობის არჩევაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ყურადღებით უნდა გაანალიზდეს სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური ცხოვრების არსებული რეალიების სპეციფიკა, ხალხის ტრადიციები და კულტურა. ასე მაგალითად, ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად მარტივი (ფარდობითი) უმრავლესობის პრინციპის საფუძველზე დეპუტატების ერთ ტურში არჩევის მეთოდის სასარგებლოდ დიდ ბრიტანეთში მის „სიმარტივეზე“

²⁴ არჩევნების პარადოქსის ცნობილი თეორია პირველად 1785 წელს ფრანგმა ფილოსოფოსმა და მათემატიკოსმა კონდორსემ აღწერა.



მიუთითებენ. თუ ეს მნიშვნელოვანია ინგლისისთვის, სადაც მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი დემოკრატიული ტრადიციებისა ელექტორატი ევროპის სხვა მრავალი ქვეყნის ამომრჩევლებთან შედარებით სუსტად განათლებულად და პოლიტიკურად გამოუცდელად ითვლება, გასაგებია, რამდენი რამ უნდა გაითვალისწინონ „ახალი დემოკრატიის ქვეყნების“ კანონმდებლებმა. საარჩევნო სისტემა – თუნდაც მისი მთავარი მახასიათებლები - მაქსიმალურად გასაგები უნდა იყოს ამომრჩევლისათვის; ასევე არ უნდა ქმნიდეს სირთულეს ხმის მიცემის პროცედურა.

საარჩევნო სისტემას, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, შეუძლია და რეალურადაც ახდენს გავლენას ქვეყნის ყველა პოლიტიკურ ინსტიტუტზე. ამდენად, მისი შერჩევა მუდმივ ძიებას ითხოვს და ამ ძიებაში წარმატების ერთ-ერთ ძირითად პირობას მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინება წარმოადგენს. თუმცა პოლიტიკური ცხოვრების შემდგომმა განვითარებამ შესაძლოა მოითხოვოს ახალი საარჩევნო მოდელების გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ხმალამე. საარჩევნო სამართლის პრინციპები (კონსტიტუციური სამართალი. პასუხისმგებელი რედ. ა.დემეტრაშვილი. „ინოვაცია“, თბილისი, 2005)
2. The ECPRD: Electoral systems in Europe (European centre for Parliamentary Research and Documentation)
3. Э. Лейкман, Дж. Ламберт. Исследование мажоритарной и пропорциональной избирательных систем. Москва, 1958.
4. <http://www.idea.int/esd/>
5. <http://aceproject.org/ace-en/topics>
6. http://www.umich.edu/~cses/resources/results/cses_bibliography.pdf
7. <http://www.ipsas.sinica.edu.tw/image/ipsas/1/75.pdf>
8. <http://www.law.edu.ru/book/book.asp?bookID=1269045>
9. <http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%98%D1%81%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B8%D1%8F%D0%A1%D0%A8%D0%90>



დანართი

დანართი 1

ალტერნატიული ხმის მიცემა

ამ სისტემით, ამომრჩეველი ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ხმას აძლევს ერთბაშად რამდენიმე კანდიდატს. გამარჯვებული გამოვლინდება სუსტი კანდიდატების თანმიმდევრული გამოთიშვითა და ამომრჩევლის მიერ მეორე და შემდგომი ალტერნატივების განსაზღვრით. ხდება კანდიდატების რანგირება უპირატესობის (პრეფერენციის) მიხედვით – შესაბამისი რიცხვის მინიჭებით (მეტი უპირატესობის მქონე კანდიდატს უწერენ 1–ს, შედარებით ნაკლებისას 2–ს და ა.შ. – რეიტინგული ხმის მიცემა). გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტი დაუწერს „ერთიანს“. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ამდენი ხმა, ბოლო ადგილზე გასული კანდიდატის ყველა ბიულეტენი გადაეცემა მათში „2“-ით აღნიშნულ კანდიდატებს. თუ ამ გადაცემის შედეგად რომელიმე კანდიდატს აღმოაჩნდება ბიულეტენების ნახევარზე მეტი იგი არჩეულად ჩაითვლება, თუ არა, გადანაწილდება ბოლოს წინა ადგილზე გასული კანდიდატის ბიულეტენები და ა.შ., სანამ რომელიმე კანდიდატს არ აღმოაჩნდება ბიულეტენების ნახევარზე მეტი. ეს წესი იძლევა არჩევნების ერთ ტურად ჩატარების საშუალებას, თანაც ისე, რომ პირი არჩეული იყოს ამომრჩეველთა ნახევარზე მეტის მიერ და არა - მცირე პროცენტით. ასეთი სისტემა ფაქტიურად ლიდერი პარტიის ინტერესებს გამოხატავს, ჩამორჩენილი პარტიების დისკრიმინაციის ხარჯზე.

ასეთი სისტემა ფაქტიურად ლიდერი პარტიის ინტერესებს გამოხატავს, ჩამორჩენილი პარტიების დისკრიმინაციის ხარჯზე.

ხმის მიცემა ალტერნატიული სისტემა გამოიყენება დიდ ბრიტანეთში (Alternative voting), ავსტრალიაში (Preferential voting), კანადაში (Preferential ballot) და ამერიკის შეერთებულ შტატებში (Ranked choice voting).



კვოტის გამოთვლის გავრცელებულ ფორმულები.

საარჩევნო კვოტის გამოთვლის სხვადასხვა ფორმულა არსებობს, რომელთა გამოყენებით ერთი იგივე შედეგზე შესაძლოა მანდატების განაწილების განსვავებული სურათი მივიღოთ.

უმარტივესი ჰეირის ანუ ბუნებრივი კვოტაა.

გამოყენებენ ასევე ხელოვნური კვოტას (ჰოჰენბახ-ბიშოფის კვოტა), დრუპის კვოტას, იმპერიალის კვოტას, ნიმაიერის კვოტას.

ჰეირის (ბუნებრივ) კვოტას სახელი ტომას ჰეირის (Hare) საპატივცემულოდ დაერქვა. კანდიდატის არჩევისთვის აუცილებელი კვოტა გამოითვლება სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობის ადგილების რაოდენობაზე გაყოფით – $V/(N)$. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამ გამოთვლით ყველაზე პროპორციული შედეგის მიღებაა შესაძლებელი.

მაგალითი: თუ მიღებული ხმების რაოდენობა = 50 000, გასანაწილებელია 5 მანდატი, მაშინ

ჰეირის კვოტა = ხმები/ადგილის რაოდ. = $50\ 000/5 = 10\ 000$ ე.ი ერთი მანდატის მისაღებად 10 000 ხმაა საჭირო:

ჰოგენბახ-ბიშოფის კვოტის გამოსათვლელად ხმების რაოდენობას ყოფენ ადგილების რაოდენობაზე ერთით მეტ რიცხვზე – $V/(N+1)$

ჰაგენბახ-ბიშოფის კვოტა = ხმები/(ადგილების +1) = $50\ 000 (5+1) = 8,333$

ვირტუალურად ერთი მანდატის მიმატება მიზნად ისახავს საარჩევნო კვოტის დაბლა დაწევას, რაც უფრო მეტ პატარა პარტიის აძლევს მანდატის მოპოვების შესაძლებლობას.

კვოტა იმპერიალი იმავე მიზანს ემსახურება რასაც ზემოთ განხილული მეთოდი. მისი დაანგარიშებაც თითქმის იგივეა ოღონდ ადგილების რაოდენობას ვირტუალური ერთის ნაცვლად 2 ემატება $V/(N+2)$



კვოტა იმპერიალი = ხმები/(ადგილები +2) = 50 000/(5+2)= 7,142

ეს სისტემად 1993 წლამდე გამოიყენებოდა იტალიაში.

დრუპის კვოტა

სახელი ჰ. რ. დრუპის საპატივცემულოდ დაერქვა. მისი გამოთვლა ჰოგენბახ-ბიშოფის კვოტის მსგავსად ხდება ოღონდ მიღებულ რიცხვს ემატება ერთი და კვოტა ოდნავ იზრდება. მიღებული შედეგები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან და გამოიყენება მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა კვოტაზე ერთის მიმატებამ შესაძლოა მოცემულ დონეზე სურათი შეცვალოს (მაგალითად, მინისტრთა კაბინეტის ან კომიტეტის სხდომებისას). ეს ფორმულა ერთადერთი გასაცემი ხმის სისტემის დროსაც გამოიყენება — $V/(N+1)+1$.

დრუპის კვოტა = ხმები/(ადგილი +1) + 1 = 50 000/(5+1) + 1 = 8,334.

ნიმაიერის კვოტა – წარმოადგინა რეინ-ვესტფალიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰორს ნიმაიერმა (1931-2007). ამ კვოტის გამოსათვლელად კონკრეტული სიისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა მრავლდება გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე, შემდეგ კი იყოფა ყველა სიის მიერ მიღებულ ხმათა საერთო რაოდენობაზე. ეს იძლევა მოცემული სიისთვის მანდატების რაოდენობას. მეთოდი გამოიყენება მხოლოდ გერმანიაში.

დანართი 3

მეორადი განაწილების წესები:

- **უდიდესი საშუალოს წესი (ჯეფერსონის უდიდესი გამყოფის მეთოდი)** – სიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა იყოფა ამ სიების მიერ პირველადი განაწილებით მიღებული ხმების რაოდენობაზე ერთით მეტ რიცხვზე. დარჩენილი მანდატები გადაეცემა იმ სიებს, რომელთაც აღმოაჩნდათ ამ საშუალოს ყველაზე დიდი მნიშვნელობა. პირველად ეს შეთავაზებულ იქნა ტომას ჯეფერსონის მიერ, 1792 წელს.



- უდიდესი საშუალოს მოდიფიცირებული წესი (ადამისის უმცირესი გამყოფის მეთოდი) – სიების მიერ მიღებული ხმათა რაოდენობა იყოფა მანდატების რაოდენობაზე, რომელიც მიიღო ამ სიებმა პირველ ეტაპზე. მანდატები გადაეცემთ იმ სიებს, რომელთაც აღმოაჩნდებათ საშუალოს ყველაზე დიდი რიცხვი. უმცირესი გამყოფი, არსებითად არის საარჩევნო კვოტა. ეს მეთოდი 1822 წელს შეთავაზა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯონ ქუინსი ადამსმა.

- **საშუალო გეომეტრიულის (ჰანტინგტონ-ჰილის) მეთოდი** – ხმების მეორადი განაწილებისას ერთმანეთს ადარებენ იმ განაყოფის მთელ ნაწილებს, რომელიც მიიღება პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების მთელი რაოდენობის გაყოფით პირველადი განაწილებით მის მიერ მიღებული მანდატების ოდენობისა და მასზე ერთით მეტი რიცხვის საშუალო გეომეტრიულზე ($\sqrt{n(n+1)}$). ეს მეთოდი შემუშავებული იქნა ჯოზეფ ჰილისა და ედუარდ ჰანტინგტონის მიერ, 1941 წლიდან გამოიყენება აშშ კონგრესის მანდატების განაწილებისას.

მან შეცვალა **ვებსტერის (საშუალო არითმეტიკულის) მეთოდი**, რომელშიც ხმების მეორადი განაწილებისას ერთმანეთს ადარებენ იმ განაყოფის მთელ ნაწილებს, რომელიც მიიღება სიის მიერ მიღებული ხმების მთელი რაოდენობის გაყოფით პირველადი განაწილებით მის მიერ მიღებული მანდატების ოდენობისა და მასზე ერთით მეტი რიცხვის საშუალო არითმეტიკულზე, $(n+(n+1))/2$.

დანართი 4.

გამყოფთა მეთოდები

გამყოფთა მეთოდები ერთმანეთისაგან მხოლოდ გამყოფი მწკრივის ტიპით განსხვავდება: **დ'ონტის ფორმულის** გამოყენებისას თითოეული პარტიული სიის მიერ მოპოვებული ხმები იყოფა ნატურალურ რიცვთა მწკრივზე (1, 2, 3, 4 და ა.შ.). მეთოდი შემოღებულ იქნა ბელგიელი პროფესორის, ვიქტორ დ'ონდტის მიერ 1882 წელს.

სენ-ლაგის ფორმულაში მიღებული ხმების რაოდენობა იყოფა კენტ რიცვთა მწკრივზე (1, 3, 5, 7, და ა.შ.). იდეა წამოაყენა ფრანგმა მათემატიკოსმა ანდრე სენტ-ლაგიმ 1910 წელს.

სკანდინავიურ ქვეყნებსა და ბულგარეთში გამოიყენება **სენ-ლაგის მოდიფიცირებული (იგივე სკანდინავიური) მეთოდი**, სადაც პირველი გამყოფის სახით ერთიანის ნაცვლად გვხვდება 1,4: 1,4–3–5 და ა.შ. ამის მსგავს შედეგს იძლევა



გამყოფთა შემდეგი მწკრივის გამოყენება: 1-2,14-3,57....
დანიური მეთოდის დროს გამოყოფთა რიგი შემდეგნაირია: 1-4-7-10. (დანის გარდა არცერთ ქვეყანაში არ გამოიყენება).

უდიდესი საშუალოს იმპერიალის მეთოდი გულისხმობს ხმების გაყოფის დაწყებას არა 1-ით (როგორც ეს დ'ონტის შემთხვევაშია), არამედ პირდაპირ 2-ით: (2,3,4...).

დანართი 5

არჩევნების პარადოქსი

კენჭისყრის პარადოქსი განვიხილოთ შემდეგი მაგალითზე:

25	30	45
ა	გ	ბ
ბ	ბ	ა
ბ	ა	გ

არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 3 კანდიდატი: ა, ბ, გ. შედეგები გადანაწილდა ისე როგორც ცხრილშია ნაჩვენები: 100 ამომრჩევლიდან 25-ისთვის საუკეთესო არის ა, 30-ისთვის - გ და 45-ისთვის - ბ. 25 ამომრჩეველმა, რომელთაც პირველი ხმა ა-ს მისცეს, პრეფერენციით მეორე ადგილზე გ დააყენეს, ყველაზე ნაკლები სიმპატია ბ კანდიდატის მიმართ გამოიჩინეს. კანდიდატთა მიმართ ამომრჩეველთა ჯგუფების სიმპატიები იხ. ცხრილში. სამი პრეტენდენტიდან ერთმა უნდა გაიმარჯვოს, მაგრამ ვინ? ფარდობითი უმრავლესობის სისტემის შემთხვევაში (ე.ი. როცა ამომრჩევლები ხმას აძლევენ მხოლოდ ერთ „საუკეთესო“ კანდიდატს) დეპუტატი, პრეზიდენტი, მერი და ა.შ. ხდება ბ: მას მხარი დაუჭირა 100-იდან 45 ამომრჩეველმა, რაც ნახევარზე ნაკლებია, მაგრამ მეტია გ (30) და ა (25) კანდიდატების ხმათა რაოდენობაზე. თუ ამომრჩეველს უფლება მივცემთ დააფიქსიროს პრეფერენცია სხვა კანდიდატების მიმართ (ე.ი. ჩავატარებთ ალტერნატიულ კენჭისყრას), მაშინ შედეგი სხვაგვარი იქნება. კანდიდატი ა, რომელმაც ყველაზე ნაკლები ხმა მიიღო, გამოეთიშება კონკურსს. მისმა 25 ამომრჩეველმა მეორე ხმა მისცა გ კანდიდატს, რომელსაც გაუხდა $30+25=55$ (%) ხმა



და გაიმარჯვა კიდევ. მსგავს შედეგს ვიღებთ აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის დროს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სუსტ კანდიდატ ა-ს 25 ამომრჩეველი პრეფერენციას მეორე ტურზე (დავუშვათ, რომ ყველა გამოცხადდა საარჩევნო უბანზე) აკეთებს. გ კანდიდატის არჩევა უკვე ექვს არ უნდა იწვევდეს, რადგან მას „ბრძოლის“ გადამწყვეტ ეტაპზე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა (55%) მისცა ხმა, მის მთავარ მეტოქეს კი მხოლოდ - 45%. თუმცა უფრო დაკვირვებით განვიხილოთ კენჭისყრის შედეგები: გ კანდიდატს ნამდვილად $30+25=55$ ამომრჩეველმა მიანიჭა უპირატესობა ბ-თან შედარებით, ამათგან 30-ისთვის გ საუკეთესო არჩევანს წარმოადგენს. თუმცა ამომრჩეველთა თითქმის ნახევრისთვის (45) გ ყველაზე ცუდი ვარიანტია, 25-მა კი საერთოდ ა-ს მიანიჭა უპირატესობა. შესაბამისად, რადგან $2/3$ -ზე მეტი - $45+25=70$ მხარს უჭერს ა-ს და არა გ-ს, გამარჯვებულად ა უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ მან პირველ ტურში ყველაზე ნაკლები ხმა აიღო. განმეორებით არჩევნებზე მონაწილეობის მიღების უფლება ა და ბ კანდიდატებს რომ მოეპოვებინათ შედეგები სწორედ ასეთი იქნებოდა, მაგრამ მოქალაქეთა კიდევ უფრო მეტ რიცხვს ($30+45=75$) ურჩევნიათ კანდიდატად იხილონ ბ და არა ა; რადგან ბ სარგებლობს მთელი ელექტორატის (45%) მხარდაჭერით. სინამდვილეში ეს პარადოქსია: თითოეული კანდიდატი შეიძლება არჩეულად ჩაითვალოს და ამასთან არცერთი მათგანი არ შეიძლება მივიჩნიოთ ხალხის „ჭეშმარიტ“ რჩეულად. იგივე შედეგებს ვიღებთ ერთადერთი გადასაცემი ხმის სისტემის დროსაც (რაც შეიძლება მოცემული მაგალითითაც დამტკიცდეს თუ არჩეულად არა ერთ არამედ ორ კანდიდატს ჩავთვლით). კენჭისყრის პარადოქსის ილუსტრაცია მოხდა 3 კანდიდატს შორის. კონკურენტების რიცხვის ზრდასთან ერთად მსგავსი სიტუაციის ალბათობა იმატებს და თითქმის 100%-ს აღწევს როცა ამომრჩეველთა ფიქსირებული რაოდენობის დროს კანდიდატთა რიცხვი მაღალია.